# საერთო გაზეთი

№12 (562) • 8 აპრილი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## გია ქორქოლიანი: რადიკალური ცვლილებების ვალდებულება გმირობის ვალდებულებაა

## 2020 წლიდან მეტი სინათლე უნდა შემოვიდეს დედამიწაზე



## რა ბოროტი და მზაკვრული ზრახვები ამოძრავებს სააკაშვილს და მის ბანდას 5000 ემიგრანტის ჩამოყვანით

## ბილ გეიტსი, კაცი, რომელსაც სურს შეცვალოს მსოფლიო



## ბესო მიქავა: მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერენ ხელს, მე რომ „თბილისურ მაფიად“ მოვიხსენიებდი, ის მილიონერი ქართველები სად არიან?

## ბოზებისა და ბოზიშვილების „პარადი“ საქართველოში

## გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ბასილ მკალავიშვილის მიმართვა

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდითა სულისათა.

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ ხარების დღესასწაულს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

ჩემო სულიერო შვილნო, დანო და ძმანო, როგორც ვხედავთ, მსოფლიოს თავს დაატყდა ღვთის საშინელი რისხვა კორონა ვირუსის სახით, რადგან დედამიწაზე დაიკარგა ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა.

ეს რისხვა გამოიწვია იმან, რომ მსოფლიოში გავრცელდა ცოდვა მამათმავლობისა, ლესბოსელობისა და ათასგვარი მწვალებლობისა.

გასული წლების განმავლობაში ქვეყნებს მრავალნაირი უბედურება მოევლინა მიწისძვრების, ქარიშხლების, ტორნადოების სახით.

ეს იყო გაფრთხილება, რომ განეშორნენ ღმერთს და გარყვნილების მორევში ჩაეშვნენ.

დღეს, იმის მაგივრად, რომ თავდადებულად ელოცათ, მართლმადიდებელმა ქვეყნებმა დახურეს ეკლესიები და მორწმუნეებს არ მისცეს ეკლესიებში ლოცვის და ცოდვების მონანიების საშუალება.

ერთ-ერთმა პირველმა ტაძრის კარი რომის კათოლიკურმა ეკლესიამ დახურა. მას მიჰყვა საბერძნეთი, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი. ისტორიიდან ცნობილია, საქართველო გადაარჩინა მართლმადიდებლობამ, მართლმადიდებელი ბერებისა და მღვდლების ლოცვებმა. ამიტომაც დგას მთელ მსოფლიოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მყარად და შეუდრეკელად.



ჩვენი ეკლესია დღეს ლოცულობს არა მხოლოდ საქართველოზე და ქართველ ერზე, არამედ მთელ მსოფლიოზე.

საქართველოში არსებული ტელევიზიების ნაწილი, რომლებიც ფინანსდებიან სატანის მოციქული ჯორჯ სოროსისაგან და ამ ტელევიზიებს განაგებს მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია, ცდილობენ, მთავრობის წარმომადგენლები აიძულონ, დახურონ ქართული ეკლესიები, არ ჩატარდეს სააღდგომო ლიტურგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპირებენ, შეაგზავნონ ეკლესიაში ვირუსით დაავადებული ადამიანები, რის შემდეგაც სათქმელი ექნებათ, ეკლესიიდან გავრცელდა ეს საშინელი დაავადებაო.

მე ვთხოვ პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალაქის მერს, შს მინისტრს, ყურადღება მიაქციონ „ნაცმოძრაობის“ ამ ვერაგულ ჩანაფიქრს.

მიხეილ საკააშვილი საშიში მოვლენაა ჩვენს ისტორიაში და ის ყოველნაირ დაავადებაზე უფრო საფრთხილოა.

ჩვენ, ალბათ, მალე მოვიცილებთ კორონა ვირუსს, მაგრამ მასთან ერთად უნდა მოვიცილოთ „ნაცმოძრაობა“ და მისი წანაზარდები. ესენი ხელს უშლიან, პირველ რიგში, მართლმადიდებობას. მათი მიზანია, ძირფესვიანად ამოძირკვა ჩვენი სარწმუნოების.

ამ ბრძოლასაც გავუძლებთ, რადგან ჩვენ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა ვართ. ჩვენს ლოცვა-ვედრებას შეისმენს დედაღვთისმშობელი და საქართველო აუცილებლად გადარჩება.

მე და ჩემი მრევლი ვადიდებთ ღმერთს და ვემორჩილებით მთავრობის მოწოდებას. ვიცავთ დისტანციას, ვაფრთხილებთ ხალხს და დღე და ღამე არ ვწყვეტთ ლოცვას საქართველოს საკეთილდღეოდ.

ახლა მსურს ვთხოვო ხელისუფლებას — აღდგომის ღამეს, ეკლესიებში დაუშვით წირვა-ლოცვის ჩატარება, რათა იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა ცეცხლი ყველა ქართულ ეკლესიაში დაინთოს.

უფლის სასოება გვქონდეს. ის დაგვიხსნის ყველა განსაცდელისგან.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ვახტანგ ხარჩილავა

# მე ვარ COVID-19



**მე ვარ COVID-19 —**
თქვენი ახალი მბრძანებელი,
კოსმოსიდან გამოგზავნილი.

**მე ვარ COVID-19 —**
ახალი დროის ფილოსოფოსი,
ახალი რელიგიის მქადაგებელი,
ახალი წესრიგის დამდგენი,
თქვენი არეული სახლის დამლაგებელი.

**მე ვარ COVID-19**
დედამიწის ახალი მმართველი.
მე მემორჩილებიან მეფეები და იმპერატორები,
პრეზიდენტები და პრემიერები,
მთავრობები და მარლამენტები.
დღეს მე ვწერ კანონებს,
მე ვადგენ ქცევის ნორმებს
და ვინც არ დამემორჩილება —
მოკვდება!

მე ვარ ახალი მოძღვრების ფუძემდებელი,
დაივიწყეთ თქვენი დრომოჭმული რელიგიები,
დაივიწყეთ თქვენი უაზრო ბუტბუტი
სიყვარულზე და სათნოებაზე,
სიკეთესა და თანაგრძნობაზე,
დაივიწყეთ ყველაფერი და
მომყევით მე,
რამეთუ მე ვარ ერთადერთი ჭეშმარიტება.

მე ვიდექი თქვენ შორის და არ მამჩნევდით!
მე ვცხოვრობდი თქვენს გულებში და უარმყოფდით!
მე გესაუბრებოდით დილიდან დილამდე და
არ მისმენდით, არ მაღიარებდით!

— ახლა ხომ დამინახეთ?
— ახლა ხომ შემამჩნიეთ?
— ახლა ხომ მისმენთ?
— ახლა ხომ მაღიარებთ?

მე დავაცარიელებ თქვენ ეკლესიებს,
თქვენს მეჩეთებსა და სინაგოგებს,
მე გადავხდი გუმბათებს და სახურავებს
თქვენს სამლოცველოებს,
მე გამოგრეკავთ იქიდან და
ღია ცის ქვეშ დაგაყენებთ,
რომ ზემოთ ახედვა გასწავლოთ.
და ბოლოს და ბოლოს დაგანახოთ ის,
ვინც შეგქმნათ.
დაგანახოთ გუმბათების და სახურავების
ტიხარის გარეშე.
დაგანახოთ ლოცვების აბლაბუდის გარეშე,
დაგანახოთ, როგორი კრიალა,
როგორი სუფთა და მართალია ის და
როგორი ცოდვილები და ფარისევლები ხართ თქვენ...
სიყვარულზე ლაპარაკობთ და ერთმანეთს ხოცავთ,



თანაგრძნობაზე ლაპარაკობთ და
ერთმანეთს სამარეს უთხრით,
სათნოებაზე ლაპარაკობთ და ერთმანეთი გძულთ,
ერთმანეთს ქალაქებს უნგრევთ,
სახელმწიფოებს უნგრევთ,
სახლებს უწვავთ...

თქვენი ისტორია ერთმანეთზე გადაბმული
ომების ისტორიაა.
თქვენი ისტორია უსასრულო მკვლელობების ისტორიაა.
დედამიწა თქვენს მიერ დაღვრილი სისხლის
ოკეანეებში იხრჩობა.
სისხლის ჭაობში ცხოვრობთ
და ამ ჭაობიდან ამოზრდილი
სარჩო-საბადებლით იკვებებით.

ხომ გითხრეს, ერთმანეთს არ მიუახლოვდეთო,
ხომ გაგაფრთხილეს, აკრძალული ხილი არ ჭამოთო.
თქვენ მაინც არაფერი შეისმინეთ
და სამუდამო წვალებისთვის გასწირეთ თავი.

საკუკუნეებია, ფარისევლობთ,
საუკუნეებია, თვალთმაქცობთ,
საუკუნეებია, შემოქმედის მოტყუებას ცდილობთ —
რომ გამოსწორდებით,
რომ გაკეთილშობილდებით,
მაგრამ არაფერი შეცვლილა —
დღეს უფრო საშიშები ხართ,
უფრო სახიფათონი.



და სანამ დედამიწა არ აგიფეთქებიათ,
სანამ დედამიწა არ ამოგიყირავებიათ,
სანამ ერთმანეთი ბოლო კაცამდე არ დაგიხოცავთ,
მე მოვედი, რომ გიხსნათ და გადაგარჩინოთ.

**მე ვარ COVID-19**
მე თქვენთვის მომაქვს ახალი რელიგია,
რელიგია განშორებისა და დაშორიშორებისა,
რელიგია განმარტოებისა,
რელიგია განცალკევებისა,
რელიგია საკუთარ თავთან დაბრუნებისა.

გაუშვით ერთმანეთს ხელები და
ორი მეტრით დაშორდით ერთმანეთს —
დაიცავით სოციალური დისტანცია,
არ მოიხსნათ პირბადე, რომ ერთმანეთი არ აცდუნოთ,
ხელი არ მოჰკიდოთ ერთმანეთს, რომ ერთმანეთის
ენერგიამ არ გაგაბრუოთ.

მიყევით ჩემს რელიგიას,
ირწმუნეთ ჩემი რელიგიის,
მუხლი მოიყარეთ ჩემი რელიგიის წინაშე.

— ჩემი რელიგია დაშორიშორების რელიგიაა!
— ჩემი რელიგია განცალკევების რელიგიაა!
— ჩემი რელიგია შორი-შორს ყოფნის რელიგიაა!

**მე ვარ COVID-19**
მე მოვედი თქვენთან, რომ გიხსნათ,
თქვენ კი,
მადლიერების ნაცვლად,
დეზინფექციურ შხამს მასხურებთ თვალებში.

ასეთი უხილავი და უჩინარი იმიტომ ვარ,
რომ ვერ მომიხელთოთ,
ვერ მომახრჩოთ,
ქრისტესავით მეც ჯვარზე ლურსმნებით ვერ გამაკრათ...

მე თქვენ გაგახსენებთ, რა დიდებულია
ერთმანეთის მონატრება,
მე თქვენ გასწავლით ხელმეორედ —
რა მშვენიერია სიყვარული —
როდესაც გიყვარს, მაგრამ არ შეგიძლია
მის მშვენიერებას შეეხო,
უფლება არ გაქვს, მის ბაგეზე შენი ბაგე დააკონო,
ქარში აწეწილი თმები თითებით დაუვარცხნო
და მკერდში ჩაიკრა.

ამ ამძუვნებულ ეპოქაში,
ამ გარყვნილ დროში —
მე თქვენ გასწავლით,
როგორ უნდა დაბრუნდეთ უკან,
იქ, სადაც მარადიული წალკოტია,
იქ, სადაც კოსმიური ჩიტები გალობენ.

დედამიწა ურჩთა გადასახლების ადგილი,
დედამიწა — უზნეოთა გამოსასწორებელი კოლონია,
იკეტება!

**მე ვარ COVID-19**
ამ კოლონიის დირექტორი —
მისმინეთ და დამემორჩილეთ!

2 აპრილი 2020 წელი.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ქინძები მიშას ბოსტნიდან, ანუ რა ბოროტი და მზაკვრული ზრახვები ამოძრავებს სააკაშვილს და მის ბანდას 5000 ემიგრანტის ჩამოყვანით

## 5000 კაცმა კი არა ერთმა მკლავჭიდელმა 70-მდე ადამიანი დაასნეულა. 5000 კაცმა შეიძლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოუდგენელი მასშტაბების პანდემია გამოიწვიოს და ნახევარ საქართველოს მუსრი გაავლოს, თუმცა სააკაშვილს ეს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია



კვირა საღამოს ორი „ქინძი“ მიშა სააკაშვილის ბოსტნიდან, ნიკუტა და ალ კუპონე (რომან გოცირიძე) მაყურებელს თავგამოდებით უმტკიცებდნენ, ბიძინა ივანიშვილს არაფერი დაუხარჯავს საქართველოშიო.

— აბა, მითხარით, რა დახარჯა ივანიშვილმა, სად დახარჯა, როდის დახარჯა? ერთი 80 მილიონი მისცა კახელებს და სულ ეს არის. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ეს ის 80 მილიონია, რომელიც მან უკანონოდ დაიბრუნა. უკანონოდ წაართვეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ უკანონოდ, სასამართლოს გარეშე რომ დაიბრუნა, ეს ნამდვილად ვიცი. ეს უკანონოდ დაბრუნებული 80 მილიონი დახარჯა ივანიშვილმა, სხვა რა დახარჯა? არ ხარჯავს ეს კაცი ფულს საქართველოში, რით ვერ გაიგეთ ეს — ბოსტანში გამოდგმულ მექანიკურ საფრთხობელასავით უაზროდ იქნევდა ხელებს ნიკუტა და „ბუტილკა“ შარვალში გამოკვართულ უკანალს ხან მარცხნივ გადააქანებდა, ხან — მარჯვნივ.

— რა ფულის დახარჯვა, რისი ფულის დახარჯვა... იტყუება ეგ ყველაფერსო, — კვერი დაუკრა ალ კუპონემ ნიკუტას და თავის მხრივ, დამატებითი „არგუმენტები“ მოიტანა იმის დასამტკიცებლად, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში არაფერი დაუხარჯავს.

ერთი აქეთ მოიხედეთ თქვენ, თქვე მართლა ქინძებო და ყურადღებით მოისმინეთ, რასაც გეტყვით:

— უნამუსოები და უსინდისოები რომ ხართ, ეს მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ მთლად ასეთი უტიფრები და ურცხვები როგორ ხართ, მთლად ასეთი სინდისგარეცხილები როგორ ხართ, რომ ქართველ ხალხს არწმუნებთ, ივანიშვილს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიაო.

თქვენ იმდენსაც კი ვერ ხვდებით, რომ ამით ივანიშვილის ღვაწლს კი არ აკნინებთ მხოლოდ, არამედ ქართველ ხალხს აყენებთ უდიდეს შეურაცხყოფას, რომელიც, თქვენი აზრით, იმდენად ბრმა და ყრუა, იმდენად გონებაჩლუნგია, იმდენად გამოთაყვანებულია, რომ რეალურად არსებული იმ გრანდიოზული საქმეების დანახვაც კი არ შეუძლია, რომელიც ივანიშვილს საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის გაუკეთებია.

პატარა კაცუნები კი ხართ, მაგრამ მთლად ასეთი პატარა და უთავმოყვარეო არსებები როგორ ხართ, რომ ყველაფერს კადრულობთ და არაფრის არ გრცხვენიათ?

ბალერინასავით ფეხებგადაჯვარედინებულმა და თითქოს ჰაერში მოფარფატე გვარამიამ საზეიმო ტონით აუწყა მაყურებელს, რომ სააკაშვილმა საქართველოს ხელისუფლება ნოკაუტში ჩააგდო იმ „პატრიოტული“ ინიციატივით, რომელიც ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას ეხება.

თურმე, ნუ იტყვით და, სააკაშვილი მზად არის უფასოდ, მის მიერ მოძიებული თანხებით, საქართველოში დააბრუნოს 5 000-მდე ემიგრანტი, მაგრამ „ცუდი“ და „ბოროტი“ საქართველოს ხელისუფლება ამის საშუალებას არ აძლევს.

წითელ სვიტრში მოვარვარე მიშა (ამ კაცს ბოლო ხანებში, რატომღაც, ძალიან შეუყვარდა ჭყეტელა და ჭრელა-ჭრულა ფერები) იჯდა კომპიუტერთან და ხან ვინმე გიგას, ხან ვიღაც ელზას ეთათბირებოდა, როგორ „დაეორგანიზებინათ“ (ეს ნაცების საფირმო ტერმინია) ემიგრანტების ჩამოყვანა საქართველოში.

სხვათა შორის, სააკაშვილი დღეს ასე გულდათუთქული რომ ლაპარაკობს ემიგრანტებზე, ეს ის ემიგრანტებია, რომლებსაც სააკაშვილი ცოტა ხნის წინათ ფულების გადმორიცხვას თხოვდა — ჩვენ ერთად უნდა დავბრუნდეთ საქართველოშიო.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას მოუყარა თავი მაშინ ემიგრანტების კარდაკარ ჩამოვლილმა სააკაშვილმა.

ისიც უცნობია, სად არის ეს თანხა და თუ რამეს მოხმარდა, რას მოხმარდა კონკრეტულად? (მიშასთან ერთად ემიგრანტების კოლექტიური დაბრუნება რომ არ მომხდარა, ფაქტია).

სამწუხაროდ, ხელისუფლება ღიად არ ლაპარაკობს, რა ქვებუდანური მიზნები ამოძრავებს ქველმოქმედების ხასიათზე დამდგარ სააკაშვილს და სინამდვილეში, რა იმალება ამ ვითომდა კეთილშობილური და პატრიოტული ინიციატივის უკან?




„გულმოწყალე“ მიშას თავისი ვირეშმაკული ტვინით შემდეგი გათვლა აქვს: ცხადია, მან იცის, რომ იმ ქვეყნებიდან, სადაც კორონავირუსი მძვინვარებს, ჩამოყვანილი 5000 ადამიანი, რომელთა შორის ძალიან ბევრი შეიძლება იყოს დასნებოვნებული, წარმოუდგენლად უმძიმეს პრობლემებს შეუქმნის საგანგებო მდგომარეობაში მყოფ საქართველოს, მის ხელისუფლებას, მთლიანად საქართველოს მოსახლეობას.

5 000 კაცმა კი არა ერთმა მკლავჭიდელმა 70-მდე ადამიანი დაასნეულა. 5 000 კაცმა შეიძლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოუდგენელი მასშტაბების პანდემია გამოიწვიოს და ნახევარ საქართველოს მუსრი გაავლოს, თუმცა სააკაშვილს ეს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია.

ვითომ ისეთი სულელია, რომ ამას ვერ ხვდება სააკაშვილი?

რას ჰქვია, ვერ ხვდება, შესანიშნავად ხვდება, მაგრამ სააკაშვილს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია ქართველი ხალხის ბედი, თუნდაც ნახევარი საქართველო გაწყვეტილა, სულ არ ედარდება, ოღონდ თავისი პოლიტიკური ინტერესები განახორციელოს.



სააკაშვილმა ისიც შესანიშნავად იცის, რომ მისი ფულით ჩამოყვანილი ეს 5000 ადამიანი ყურმოჭრილი მონად და ერთგულ ჯარისკაცად მოემსახურება.

ეს 5000 კაცი, ფაქტობრივად, მიშას მეხუთე კოლონა იქნება, კორონავირუსის ეპიდემიის საფარქვეშ ქვეყნის ასარევად და სიტუაციის ასაფეთქებლად შემოგზავნილი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 5000 კაცი ეს 5000 ხმაა არჩევნებში, რაც სულაც არ არის პატარა საქმე.

აი, ასე იშიფრება სააკაშვილის ეს „პატრიოტული“, „უანგარო“ და „მამულიშვილური“ ინიციატივა.

და შენ, ნიკა გვარამიავ, პატრიოტობანას რომ გვეთამაშები და ქვეყნისთვის უბედურების მომტან ამ ინიციატივას კეთილშობილების მანტიაში რომ ხვევ, ისეთივე არამზადა ხარ, როგორც შენი შეფი.

და თქვენ, ნაციონალებო თუ არანაციონალებო, ყველა ცალცალკე და ყველა ერთად, საქართველოს ასაფეთქებლად გამიზნულ ამ სატანისტურ გეგმას ვინც მხარს უჭერთ, საქართველოს მტრები ხართ, რომლებიც ამ უკიდურესად მძიმე ჟამს, თქვენი ეგოისტური პოლიტიკური მიზნების და ამოცანების მისაღწევად, ხლართავთ ინტრიგებს, ცრუობთ, იტყუებით, თავს ისულელებთ და ჩვენს გასულელებას ცდილობთ.

კორონავირუსზე უარესი კორონავირუსები ხართ თქვენ და მშვიდობის მტრედების ნიღბებით შენიღბულნი ცდილობთ ჩვენს სულებში და სხეულებში შემოპარვას.

ამბობენ, კორონავირუსს ტილის წამალი ამარცხებსო.

პოლიტიკური ტილების, პოლიტიკური რწყილების, პოლიტიკური ბაღლინჯოების წამალიც გამოგონებულია და თუ არჩევნებამდე მისვლა გვეღირსა, ამ წამალს მაშინ გაგასინჯებთ, ნაცებო!

**ვახტანგ ხარჩილავა**

## გია ჟორჟოლიანი:

# რადიკალური ცვლილებების ვალდებულება გმირობის ვალდებულებაა



### თუ ეს ხელისუფლება იმ რევოლუციური ნაბიჯების გადადგმას გაბედავს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკური კოლაფსისაგან იხსნის, ის ისტორიაში გმირის სახელით შევა

***გვესაუბრება „სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის“ თავმჯდომარე, პარლამენტარი გია ჟორჟოლიანი:***

**— ბატონო გია, კორონა ვირუსმა ეკონომიკური კრიზისი წარმოშვა. რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა?**

— ყველანი ვირუსის უკანსვლას ველოდებით, თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ და როდის დაიხევს იგი უკან. თუ მას სეზონური ხასიათი ექნება, მაშინ მაისის ბოლოდან ჩვეულ ცხოვრებასთან დაბრუნება დაიწყება. მეორე მხრივ, ველოდებით ვაქცინას, რასაც წელიწადნახევარი დასჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მთავრობამ ეფექტურად იმუშავა. თუმცა, იწყება პრობლემები, სადაც კრიზისმენეჯერული თვისებები საკმარისი აღარ არის. მნიშვნელოვანია ორი რამ: პირველი — სახელმწიფომ აქამდე არსებულისგან განსხვავებული ფუნქცია უნდა იტვირთოს და მეორე — მას სულ სხვა რესურსები სჭირდება. ახლა, ჩვენ, სხვა ამოცანების წინაშე ვდგავართ. ადრე არსებობდა მცდარი მოსაზრება, რომ თავიანთი პრობლემები ინდივიდებმა უნდა გადაწყვიტონ. დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ ეს შეუძლებელია. მახსენდება, ასეთი რამ: მოლას მეჩეთში შესვლა არ უნდოდა, მაგრამ იძულებით, ცემა-ტყეპით შეიყვანესო. შესაძლოა მთავრობას ამ პასუხისმგებლობის აღება არ უნდოდა, მაგრამ კორონა ვირუსის ეპიდემიამ აიძულა ასე მოქცეულიყო. დღეს ნათელია: დამოუკიდებლად ვერცერთი ინდივიდი ვერ გადაწყვეტს იმ ამოცანებს, რაც ჯანდაცვის თვალსაზრისით არსებობს. კერძო ინიციატივები პრობლემას ვერ გადაწყვეტს, ამას უზარმაზარი თანხების მობილიზება, მენეჯმენტი, წესრიგის დამყარება და ა.შ. სჭირდება. ამიტომ, მთავრობები პროცესებში აქტიურად ერევიან. მაგალითად, სრულად ნაციონალიზებას უწოდებენ იმას, რაც ესპანეთში გაკეთდა. ბევრი ფიქრობს, რომ ქვეყანაში რაღაც დონის სასურსათო უსაფრთხოება უნდა არსებობდეს, რათა იმპორტზე არ ვიყოთ დამოკიდებული. მაგრამ ეს ახლა რომ გავაკეთოთ, თუ ყველა ქვეყანა პროტექციონისტულ ზომებს განახორციელებს, მაღალ ტარიფებს დაადებს, ყიდვა-გაყიდვა რაც გლობალიზაციის დროს იყო, შეწყდება, სანამ ჩვენს სოფლის მეურნეობას გადავაკეთებთ, ხალხი შიმშილით დაიხოცება. ევროკავშირის ქვეყნებს შორის საბაჟოებზე ცხრაკილომეტრიანი რიგები დგას. სურსათის მიწოდება გვიანდება. ამიტომ, გერმანიის მთავრობამ დიდი თანხა გაიღო, რათა მიწოდების ჯაჭვები არ გაწყდეს. ანუ, ამან უნდა უზრუნველყოს ის, რომ ადამიანებმა სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი სფეროები კარგა ხნით დასრულდა. მაგალითად, მოდის ინდუსტრია, ძვირფასი ტურიზმი და ა.შ. ახლა, ბიზნეს-კლასით კი არა ჩვეულებრივად ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება ვეღარ ხერხდება. ეს ყველაფერი დაინგრა. ამ შემთხვევაში საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, მიწოდება, ჯანდაცვიდან დაწყებული პირველადი მოთხოვნილებებით დამთავრებული, ყველაფერი, სახელმწიფოზე გადადის. მოგეხსენებათ, საომარი ვითარების დროს სახელმწიფო ეკონომიკის დაახლოებით 70%-ს წარმართავდა. დაწყებული ტანკიდან პურის ცხობით დამთავრებული ყველაფერს სახელმწიფო არეგულირებდა. მე არ ვლაპარაკობ საბჭოთა კავშირზე. ავიღოთ, დიდი ბრიტანეთი, აშშ. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო მთავარი მწარმოებელი იყო, ეკონომიკის 70%-ს ის განკარგავდა. დიახ, ასეთ დროს სახელმწიფო ხდება მთავარი ეკონომიკური აქტორი. რეიგანის სიტყვებია: სახელმწიფო ვერ უვლის პრობლემებს, სახელმწიფო თვითონ არის პრობლემა. ანუ, სახელმწიფო პრობლემებში რომ ჩაერევა, ის მხოლოდ გააუარესებს ვითარებასო. ეს ამბავი უნდა დავივიწყოთ. სააკაშვილის მმართველობის დროიდან გაბატონებული გახლდათ და „ქართული ოცნების“ დროსაც შენარჩუნდა მცირე სახელმწიფოს იდეა. ანუ, სახელმწიფო არაფერში არ ერევა, გარდა პოლიციის, ჯარისა და სასამართლოსი, დანარჩენი ყველამ თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთო. დღეს, აშკარაა, რომ მთელი რიგი სერვისები საჯარო უნდა იყოს. ანუ, უზრუნველყოფა მთელ რიგ სფეროებში საჯაროდ უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში, ეს გახლავთ ჯანდაცვა თავისი საჭირო მასალებით. მეორე, ეს არის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კომუნალური გადასახადები და ა.შ. აქვეა, უსახლკაროების პრობლემაც. მესამე, ეს გახლავთ კვება. ეს მოთხოვნილებები თუ არ იქნა დაკმაყოფილებული ადამიანები უწამლობით, შიმშილით და სიცივით დაიღუპებიან. ეს სამი მოთხოვნა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რათა გადავრჩეთ. მესამე, როგორც აღვნიშნე, სურსათით უზრუნველყოფა. ვისაც უჭირდა მათთვის სოციალური დახმარება არსებობდა. ამას დავუმატოთ ჩვენი კონსერვატული და ტრადიციონალისტური საზოგადოება, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან. იტალიაში ხალხი ერთმანეთს გვერდში უდგას. ამას სახელმწიფო აკეთებს. გაეროს სურსათის უსაფრთხოების მრჩეველმა გამოაქვეყნა სტატია: იმპორტის ჩანაცვლება მოხდება, მაგრამ გარდამავალი პერიოდი იქნება ძალიან რთულიო. საქართველო თვითკმარი ქვეყანა ვერ გახდება. ყაზახეთმა და რუსეთმა უკვე შეამცირეს ხორბლის ექსპორტი. კანადამ და აშშ-მაც იგივე რომ გააკეთოს, შიმშილი დაიწყება. საქართველოში ჩვენს მიერ მოხმარებული ხორბლის მხოლოდ 12%-ს ვაწარმოებთ. ე.ი. ამის გასამმაგებას სამ თვეში და ვერც ერთ წელიწადში ვერ შევძლებთ. ადამიანებს სჭირდებათ ფინანსური უზრუნველყოფა. გმირებმა თუ არ ჭამეს, ისინიც კვდებიან. თუ გმირმა წყალი არ დალია, საჭმელი არ ჭამა, ისიც მოკვდება. იგი გმირი სულიერად არის და არა ფიზიკურად. სამწუხაროდ, მარტო სულიერებით ადამიანი ვერ ცოცხლობს. ამ ვითარებაში რადიკალურად იზრდება სახელმწიფოს ხარჯები ჯანდაცვის, უსაფრთხოების, პირველადი სურსათისა და სასიცოცხლო მოთხოვნილებების უზრუნველყოფაში. ჩვენ, ვთქვით, რომ ომის მდგომარეობაა. წარმოვიდგინოთ, რას აკეთებს სახელმწიფო ომის დროს. იგი ეკონომიკას შემდეგნაირად წარმართავს — ახდენს რესურსების მობილიზებას. რას აკეთებენ თავად ადამიანები? მეორე მსოფლიო ომის დროს 24-საათიანი სამუშაო დღეები იყო. იცით, ეს რას ნიშნავდა? ომს სჭირდება საჭმელი, ტყვია და ა.შ. და ეს ვიღაცამ უნდა უზრუნველყოს. ამიტომ, ადამიანები ზურგში რჩებოდნენ. ამ ზურგის გარეშე, ომის წარმოება შეუძლებელი იყო. დღეს ადამიანებს მოუწოდებენ — არ იმუშაოთ, სახლში დარჩითო, ანუ, ვითარება ჩვეულებრივი ომისგან რადიკალურად განსხვავდება. ეს ანტიომის ეკონომიკაა. ანუ, მობილიზაციის ეს მექანიზმი არათუ რეკომენდირებული არ არის, არამედ შეზღუდულია. წარმოვიდგინოთ, რომ ომის დროს ტყვია-წამალის წარმოების შეჩერება მოგთხოვონ. ეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და განსაკუთრებით საქართველოში ეკონომიკური აქტივობის რადიკალურად შემცირებას იწვევს.

## გია ჟორჟოლიანი: ჩვენი წინადადება მთავრობისადმი შემდეგია: სოლიდარობის საყოველთაო ფონდის ანუ სავალდებულო შენატანების გადასახადის შემოღება

**— აქვე, ჩნდება მთავარი პრობლემა — უმუშევრობა.**

—დიახ. მაგალითად, ესპანეთში მილიონამდე ადამიანი, მარტის თვის განმავლობაში, უმუშევარი დარჩა. ეს ესპანეთის მოსახლეობის 2,5%-ია. იქ, მოსახლეობა 40 მილიონია. იქამდე არსებულ უმუშევრებს ეს ხალხიც დაემატა. ანუ, მინიმუმ, 6–7%-მა საარსებო წყარო დაკარგა. ტურიზმის წილი ჩვენს ეკონომიკაში 15%-ია. თუ ამას ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა რაღაცებს დავუმატებთ, 15–20%-ს მივიღებთ. ეს აქტივობა ეკონომიკას გამოაკლდა. ანუ, ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი — 90%. გამოაკლდა კიდევ ერთი დიდი წილი, რაც ესპანეთში ან აშშ-ში არ არის. ეს გახლავთ უცხოეთიდან გადმორიცხული თანხები, რაც დაახლოებით, მილიარდნახევარ დოლარს შეადგენდა. მთელი ჩვენი ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტი არის 46–47 მილიარდი, ეს არის 8–9%. ესეც მოაკლდა. უცხოეთში ჩვენი ქართველები უმუშევრები დარჩნენ, სტატისტიკაში არალეგალები არც ითვლებიან. ამ ვითარებაში ძალიან სერიოზული დარტყმები ემუქრება ჯანდაცვასაც, სურსათსაც და სასიცოცხლო-საცხოვრებელ მიმართულებასაც. ადამიანებს აღარ აქვთ



ფული. სახელმწიფომ მოსახლეობას მხარი უნდა დაუჭიროს. რას ნიშნავს სახელმწიფოს კარგი მენეჯმენტი? მას ფული ხომ მაინც სჭირდება. რა არის სახელმწიფოს ფული? სამწუხაროდ, ეს კარგად არ არის განმარტებული და ამაზე არავინ ლაპარაკობს. მეტიც, ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი გამოდიოდა ინიციატივით: მოდი, გავანულოთ გადასახადები, ასევე, გადავავადოთ ბანკების გადასახადებიო. ეს რას ნიშნავს? — ასე ამ ბანკებს შეიძლება ლიკვიდობის პრობლემა დაუდგეთ. ჯერჯერობით, ეს პრობლემა არ დგას. „ეროვნული ბანკი" აცხადებს, რომ საკმარისი რეზერვებია და ლიკვიდობის პრობლემა არ დადგება. მაგრამ თუ ეს დიდხანს გაგრძელდება, რეზერვებიც ამოიწურება. გარდა ამისა, აქ არის პანიკური მომენტიც — ხალხი წავიდა და ყველამ თავისი დეპოზიტები გამოიტანა. ასე ბანკი ვეღარ იმუშავებს. ანუ, საბანკო სექტორის ფუნქციონირება აუცილებელია. დავუბრუნდეთ, ბიუჯეტს, რომელიც ამ რეზერვებთან არ არის დაკავშირებული და ამას მთავრობა განკარგავს. მთავრობის ფინანსური რესურსი არის ბიუჯეტი. ანუ, ის თანხა, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიხდით, ძირითადად, როგორც გადასახადებს. ჩვენ თუ ამ გადასახადებს გავანულებთ, ბიუჯეტიც განულდება და მთავრობას ექნება ნული ლარი. პრემიერმა გააკეთა პროგნოზი რომ შემოსავლები სამი მილიარდით დაიკლებს. რას ნიშნავს ყოველივე? — ეს შემოსავლები ჩვენი გადასახადებია. ჩვენი წლიური ბიუჯეტი 14




მილიარდია. ეს ერთად კი არ არსებობს და სადმე უჯრაში კი არ არის ჩაკეტილი. ვთქვათ, ერთი მილიარდი შემოდის ერთ თვეში და იმდენივე იხარჯება. გახარიას არ შეუძლია უჯრა გამოაღოს და ეს 14 მილიარდი სადმე დაარიგოს. მან თქვა: ოპტიმიზებისა და ზოგიერთი ხარჯების შეკვეცის საფუძველზე ბიუჯეტში 2 მილიარდი გამოვძებნეთო. ეს გამოძებნა მთელი წლის ბიუჯეტში, თორემ ხელში კი არ აქვს ეს 2 მილიარდი. 2 მილიარდი გავყოთ ათ თვეზე და გამოვა, რომ თვეში, დაახლოებით, 200 მილიონი გამოძებნა. აქვე, მთავრობამ ამ 2 მილიარდის გარდა, 351 მილიონი გამოყო ჯანდაცვის ხარჯებისთვის. ამავე დროს, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენმა ბიუჯეტმა შემოსავლები დაკარგა. როგორც აღვნიშნე, გახარიას პროგნოზით, ამ ვითარების გამო, დაახლოებით, 3 მილიარდს დავკარგავთ. დარჩა 11 მილიარდი. ამას ემატება კიდევ ერთი 2 მილიარდი სხვა ხარჯების. ამის გარდა, 14 მილიარდიდან ხარჯი არის 2 მილიარდი ვალების მომსახურების. მოსახლეობის 80% ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობს. მეტი დანაზოგი არ აქვს. გაჩერდა საწარმოები, სავაჭრო ობიექტები. ამ ასი ათასიდან თითოს ორი კაცი მაინც უნდა დავუმატოთ და გახდება 300 ათასი. ეს არის საქართველოს მოსახლეობის 8–9%. ამ მდგომარეობამდე, დაახლოებით, 30% ფარდობითი სიღარიბის ზღურბლს ქვემოთ ცხოვრობდა. ეს გახლავთ გადარჩენის იმედით მცხოვრები ადამიანები. მათ დაემატა ეს ხალხი. აშკარაა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მდგომარეობა რადიკალურად გაუარესდა. მათ სამუშაო სრულად არ დაკარგეს, მაგრამ გაუნახევრდათ. ბევრ მათგანს დანაზოგი არ აქვს, არამედ დარჩათ ერთი თვის ხელფასი, რასაც ორ თვეზე ანაწილებენ და მერე დამთავრებულია საქმე. ანუ, 50%-ზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღურბლს ქვემოთ აღმოჩნდება. მე, ვამბობ ისეთ შემთხვევას, რომელიც უეჭველია. შევადაროთ რა ხდება, ამ ვითარებაში, საომარ პირობებში — რა თქმა უნდა, ყველა რესურსის მობილიზება. ვინ არის პასუხისმგებელი რესურსების მობილიზებაზე? აქ, მინდა სრულად დავუჭირო მხარი პრემიერ გახარიას, რომელიც ყველა გამოსვლაში ამბობს: ამ პერიოდში სრული პასუხისმგებლობა ქვეყანაზე, მოქალაქეების ჯანმრთელობასა და გადარჩენაზე მთავრობას ეკისრებაო. ეს, ასეა. მთავრობის გარდა, ამის გაკეთება, არავის შეუძლია. როცა ადამიანი კი არ ზარმაცობს, არამედ შენ სამსახურში არ უშვებ, ამ ვითარებაში მთავრობამ ყველა რესურსის მობილიზება უნდა მოახდინოს. გავიხსენოთ, რა ხდებოდა ომის დროს? — ტრაქტორების ნაცვლად ტანკებს უშვებდნენ, ხომ. აშშ-ში 1929 წელს დიდი დეპრესია, ეკონომიკის 30%-იანი დაცემა იყო, რასაც უმუშევრობა მოჰყვა. პრეზიდენტად რუზველტი აირჩიეს და ე.წ. კეინსიანური ეკონომიკა ჩამოყალიბდა. კეინსი ბრიტანელი ეკონომისტი იყო, რომლის ძირითადი იდეა შემდეგში მდგომარეობდა: მთავრობამ ისე უნდა არეგულიროს ეკონომიკა, რომ ხალხმა იმუშაოს, გაჩნდეს მოთხოვნა და ა.შ. ამან თუ არ იმუშავა, ყველა ღატაკი გახდება. ანუ, მოთხოვნა განაპირობებს მიწოდებას. საქართველო ისეთ კრიზისში, რაც ძალიან დიდი იშვიათობაა. ეს არ არის მარტო მოთხოვნის კრიზისი. მაგალითად, 2008 წელს იყო მარტო მოთხოვნის კრიზისი. ანუ, ხალხს ფული არ ჰქონდა და სიტყვაზე, ბინას აღარ ყიდულობდა. ახლა, მიწოდების კრიზისიც არის. ანუ, ვინც ბინას აშენებდა, ისიც არ მუშაობს. სახეზეა ერთდროულად ორი კრიზისი — მიწოდებისაც და მოთხოვნისაც. რა გააკეთა დეპრესიის დროს რუზველტმა? — მან



ვუოლსტრიტის ბანკირებს მიმართა, რომელთაც ფინანსური რესურსები ჰქონდათ. მომლაპარაკებლად პრეზიდენტ კენედის მამა გააგზავნა, რომელიც მაღალი მორალური თვისებებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იყო ძალიან მოხერხებული და ეშმაკი ბიზნესმენი. მან კარგად დაინახა: თუ იგი ქონებისა და შემოსავლების ნახევარზე მეტს არ დადებდა, სრულად დაკარგავდა იმას, რაც ჰქონდა და ამ ჭეშმარიტებაში ბანკირებიც დაარწმუნა. რუზველტმა მაღალ შემოსავლებზე ძალიან მაღალი გადასახადები შემოიღო. ამ ვითარებაში საჭიროა არსებული რესურსების მობილიზება იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ჩამოვთვალეთ. შემდეგ რა იქნება, ამაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ. თუმცა, სერიოზული ხალხი ამბობს, რომ საქმიანობა ისე როგორც ჩვეულებრივ იყო, დასრულდა, აღარ იქნება. ღირებულებითი ცვლილებები ხდება. პირველადი მოთხოვნილებები უპირველეს ადგილს იკავებს. პარიზელებმა ბასტილია რომ აიღეს, ვოლტერი და რუსო კი არ წაუკითხავთ, პური უნდოდათ და ამიტომ გამოვიდნენ გარეთ. ჩვენ, უკვე, დღეს ვხედავთ, რომ ეს არ იქნება ჩვეულებრივი კრიმინალი, არამედ ბრძოლა წამლისთვის, საკვებისთვის და გადარჩენისთვის. აბსოლუტურად სხვა წესრიგი დგება. სოლიდარობა იქნება მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს იყო მანამდე ბოლო 40 წლის განმავლობაში. ომის მერე ეს იყო ძლიერი. სწორედ ამიტომ იქნა გაზიარებული რუზველტის პოლიტიკა. სწორედ ამიტომ იყო რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელს ევროპაში კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მოხდა, სადაც ეს მინიმუმები უზრუნველყოფილი იყო. ამიტომ, საჭიროა ისეთი რესურსების მობილიზება, რომელიც გამოყენებული იქნება ყველასთვის ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს გადანაწილების ახალ მექანიზმს მოითხოვს. ჩვენი წინადადება მთავრობისადმი შემდეგია: სოლიდარობის საყოველთაო ფონდის ანუ სავალდებულო შენატანების გადასახადის შემოღება. ამ წინადადების შემდეგ ათი დღის მერე, თითქოს, ახალი ინიციატივით გამოვიდა „ქართული ოცნება", რაც არასწორი ინტერპრეტაციაა ჩვენი წინადადების. ეს დაიყვანეს ქველმოქმედებაზე, რაც არ შეიძლება არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს იმედი რომ ადამიანები კეთილები იქნებიან. რა თქმა უნდა, ეს იმედი გვაქვს, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს არასისტემური. გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს სახელმწიფომ. მან უნდა იცოდეს რა შემოსავლებს მიიღებს, ხოლო ქველმოქმედების პირობებში არასდროს იცი ვინ რა ქველმოქმედებას გაწევს. მოდით, ლოგიკას გავყვეთ. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში შემოსავლების დაბეგვრა პროგრესულია. ჩვენი წინადადება ადრეც ასეთი იყო: დაბალშემოსავლიან პირებს გადასახადი შემცირებოდათ და შედარებით გაზრდოდათ მაღალშემოსავლიან პირებს. დღეს, გადასახადის შემცირება უაზრობაა. სჯობს სუბსიდირება გააკეთო, ვიდრე გადასახადი მექანიკურად შეამცირო. რესურსების გადანაწილება აუცილებელია. ეს არ შეიძლება ქველმოქმედებას დაექვემდებაროს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი: არ შეიძლება ადამიანები იყვნენ ზოგი უფრო კარგი და ზოგი უფრო ცუდი. ყველამ ერთად უნდა ავიღოთ ის ტვირთი, რაც ამ ეპიდემიამ მოიტანა. ბევრი გაიძახის: ეს ეკონომიკას დააკლდებაო. ასე არ იქნება. კერძო ინვესტორი დღევანდელ ვითარებაში დაბნეულია. მან არ იცის სად უნდა წაიღოს, სად განახორციელოს ინვესტიცია. საფონდო ბირჟებზე ყველა ინდექსი ეცემა. სად უნდა წაიღოს ფული? ეს ცოტა ხანში შეიძლება ფარატინა ფურცლად იქცეს. დღეს ყველაზე ეფექტურად სად დაიხარჯოს ფული იცის სახელმწიფომ, ცალკე ინვესტორებმა არ იციან. ამ მიმართულებით მუშაობენ კვალიფიკაციური კონსულტანტები.

**— ბატონო გია დასაწყისში გმირობა ახსენეთ. დღეს ვის აკისრია გმირის მისიის შესრულება?**

— დღეს სახელმწიფომ რადიკალური ცვლილებები უნდა განახორციელოს, რასაც ერთგვარი გმირობა და სითამამე სჭირდება. ჩვენ გავაკეთეთ განცხადება: დადგა დრო უფრო თამამი ნაბიჯები გადაიდგას. ეს ნიშნავს ეკონომიკური წესრიგის რადიკალურად შეცვლას. ჩვენი აზრით: ეს მხოლოდ ამ პერიოდით არ უნდა შემოიფარგლოს. თუ დაიწყება ამ ნაბიჯების გადადგმა, მთავრობა ამ პასუხისმგებლობასაც აიღებს და თუ ასე არ მოხდა, ეს იქნება კრახი. ძალიან მნიშვნელოვანია იტვირთავს თუ არა მთავრობა ამ რადიკალური ნაბიჯების გადადგმის გამბედაობას. საჭიროა რევოლუციური ცვლილებები, რასაც რევოლუციონერები, გმირები სჭირდება, რომლებიც ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებენ. პოლიტიკური ელიტა ამ შესაძლებლობას მოკლებულია. მაგრამ ვინც ხვდება და აღმოჩნდება იმ პოზიციაზე რომ ეს ცვლილებები განახორციელოს, საქართველოს ისტორიაში გმირად დარჩება. **რადიკალური ცვლილების ვალდებულება ეს გმირობის ვალდებულებაა. დღეს ამის გაკეთება ისტორიამ, ბედისწერამ არგუნა იმ ადამიანების ჯგუფს ვინც გადაწყვეტილებების მიღების სათავეებთანაა.** რამდენად აიღებენ ამ პასუხისმგებლობას უახლოეს დროში, დავინახავთ.

აქვე ერთსაც ვიტყვი: შეცდომა არ უნდა მოგვივიდეს და კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ პოსტსაბჭოთა ნეოლიბერალური რეჟიმები არის ავტორიტარული რეჟიმები, რომლებიც მმართველობას ძალიან ვიწრო კლანების ინტერესებში ახორციელებენ. უთანასწორობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. არა ისე როგორც აფრიკაში, მაგრამ ჩვენთან ყველა ევროპულ ქვეყნებზე მაღალია. ერთ-ერთი რაც ამას ევროპულ ქვეყნებში ამცირებს, არის გადასახადები. ჩვენ გადასახადები რომ გამოვაკლოთ და უთანასწორობა ისე გავზომოთ, ეს კიდევ უფრო მაღალი იქნება. საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს მეტ თანასწორობას. რაც მეტია გადანაწილება, მეტად თანასწორნი არიან ადამიანები. ბაფეტი, ბილ გეითსი და სხვები არაერთხელ გამოსულან წინადადებით, რომ მდიდრებისთვის გადასახადები გაიზარდოს. ეს პრობლემები არ შეიძლება ქველმოქმედებით გადაწყდეს. მოდით ყველანი ვიყოთ მონაწილენი და ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედზე.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

**რედაქციისგან: ვფიქრობთ, გია ჟორჟოლიანის მოდელი, სოლიდარობის საყოველთაო ფონდის სავალდებულო შენატანებით შევსების შესახებ, სახელმწიფოებრივად უაღრესად დიდი მნიშვნელობის იდეაა.**

**იმედია, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით მოეკიდება გია ჟორჟოლიანის მიერ შემოთავაზებულ მოდელს და რეალობად აქცევს მას.**

# მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერენ ხელს, მე რომ „თბილისურ მაფიად“ მოვიხსენიებდი, ის მილიონერი ქართველები სად არიან და რატომ არ ეხმარებიან ქვეყანას?

## საქართველოში დღეს რომ არ ყოფილიყო ისეთი ხელისუფლება და მთავრობა, როგორიც არის, საქართველოში დღეს პრემიერ-მინისტრი რომ არ ყოფილიყო გიორგი გახარია, შედეგები ბევრად მძიმე და შეიძლება ითქვას, გამოუსწორებელი იქნებოდა



***გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დამფუძნებელი ბესო მიქავა***

— ჩვენს მკითხველს ახსოვს, მე ვსაუბრობდი ე.წ. „თბილისურ მაფიაზე“, რომელიც ებრძვის ივანიშვილს და გახარიას. სწორედ მაშინ ვთქვი, „მაფიის“ დამარცხება შესაძლებელია, თუკი გიორგი გახარიას მისცემენ საშუალებას დააკომპლექტოს მთავრობა-მეთქი.

საუკუნეებია, საქართველოს



სახელმწიფოებრიობა არ აქვს და შესაბამისად, ხელისუფლების მნიშვნელობაც დაკარგული იყო.

ვირუსის შემოტევამ ხალხს დაანახა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ეფექტიან მმართველობას.

საქართველოში დღეს რომ არ ყოფილიყო ისეთი ხელისფლება და მთავრობა, როგორიც არის, საქართველოში დღეს პრემიერ-მინისტრი რომ არ ყოფილიყო გიორგი გახარია, შედეგები ბევრად მძიმე და შეიძლება ითქვას, გამოუსწორებელი იქნებოდა.

უკვე ნათლად დავინახეთ, რომ მთავრობას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მოქმედებების საშუალება, უნარი და ე.წ. პოლიტიკური კორონა ვირუსებისგან დაცვის შესაძლებლობები. ამისთვის საჭიროა ერთი გუნდი, ერთნაირად მოაზროვნე ადამიანების გაერთიანებული ჯგუფი.

მე არ გახლავართ ივანიშვილის მეხოტბე, არც „ოცნების“ წევრი, არც არავითარი საერთო არ მაქვს მათთან, თუმცა სიმართლე სიმართლეა.

დღეს ყველამ მიივიწყა, რატომღაც — ბიძინა ივანიშვილი რომ ქართულ ინტელიგენციას ხელფასებივით უხდიდა ფულს, არ ჩანდა თვითონ და არც მადლობებს ითხოვდა არავისგან. ნაციონალების დროს გამდიდრებულებს, მათ შორის, კერძოდ, ოქროს საბადოს მფლობელ კობა ნაყოფიას სად მიაქვს იმდენი ფული, იცის ვინმემ? დაეხმარონ ხალხს და ხელისუფლებას.

მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერენ ხელს, მე რომ „თბილისურ მაფიად“ მოვიხსენიებდი, ის მილიონერი ქართველები სად არიან და რატომ არ ეხმარებიან ქვეყანას?

**ხაზგასმით ჩაწერეთ: მათ უფრო მეტი ფული აქვთ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს. ბევრად აღემატება მათი საერთო შემოსავლები ივანიშვილის ქონებას. ეს ის ხალხია, რომლებიც ხელს უწყობენ არეულობებს საქართველოში და მათგან არასდროს არავინ არ ითხოვს გვერდში დგომას, არც ერთი საჭიროების დროს. ბიძინა ივანიშვილს კი აყვედრიან — სად არის, რატომ არ ჩანს, რატომ არ ამხნევებს ხალხსო.**

პარლამენტში დღეს 40 მილიონერი ზის. სხვაგან კიდევ რამდენია, ვინ იცის და კეთილი ინებონ და დაეხმარონ ხალხს, ოღონდ დაეხმარონ აშკარად, სახალხოდ.

**— როგორც იმ ე.წ. ოპოზიციამ განაცხადა, ჩვენი ქვეყნის და მოსახლეობის დასახმარებლად, ფინანსური სახსრებისთვის, უკვე გაუგზავნეს თხოვნები დასავლეთში შესაბამის უწყებებს და სტრუქტურებს.**

— მაგალითად, იტალია 50 მლნ-იანი ქვეყანაა. მას ახლა ძალიან უჭირს. მძიმე მდგომარეობაშია ესპანეთი, თვით აშშ-ი, არც სხვა ქვეყნები არიან უკეთესად. უჭირს გერმანიას და საფრანგეთს მათ თვითონ სჭირდებათ ფული და დახმარება. ფულს კი, როგორც წესი, იძლევიან მაშინ, როცა მოჭარბებულად აქვთ და გარკვეულ ეტაპზე აუცილებლობისთვის არ სჭირდებათ, მაგრამ თუ იმ ქვეყნების მოსახლეობა, რომელსაც უნდა უპატრონოს, რომ სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნოს და მშიერი, ავადმყოფი და სოციალურად გაჭირვებული ჰყავს, შენ როგორ დაგეხმარება.

იტალია აპირებს გამოვიდეს ევროკავშირიდან, რადგან პოლიტიკა, საჭიროებებზე დგას და არა პირად სიმპათია-ანტიპათიებზე. იტალიას ვინც დაეხმარება, ის იქნება მისი პარტნიორი. როგორც დავინახეთ, ამასწინათ რუსეთის დროშა ჩამოჰკიდეს მთავარ მოედანზე.

დღეს დგას საკითხი ასე: როგორ მოუარონ სახელმწიფოებმა თავიანთ ქვეყნებს და მოსახლეობას. ამიტომ, ადრე ვთქვი და ახლაც იგივეს გავიმეორებ: თუ გახარიას არ მიეცემა მთავრობის ჩამოყალიბების საშუალება, წინ კიდევ დიდი წინააღმდეგობები გვიძევს და კარგად შეკრული მთავრობა გვჭირდება. სხვა პრობლემებს და გამოწვევებსაც რომ თავი დავანებოთ, ზოგიერთი ძალები კვირიკაშვილის კვლავ პრემიერად დაბრუნებას აპირებდნენ და აპირებენ.

**— რატომ ვერ ელევიან კვირიკაშვილს?**

— კვირიკაშვილი იმ ე.წ. „თბილისური მაფიის“ წარმომადგენელია. ივანიშვილს და გახარიას კი „სოფლელებს“ ეძახიან. „თბილისურმა მაფიამ“ არც ზვიად გამსახურდია მიიღო თავის დროზე და არც სააკაშვილი, სხვათა შორის.

სააკაშვილმა თქვა კიდევაც: „თბილისურმა მაფიამ“ არ მიმი-

მიერ-მინისტრს თუ არ ეყოლება თანამოაზრეები მთავრობაში, ეს კიდევ უფრო გაახარებთ.

იმ 40 მილიონერისთვის, რომლებიც პარლამენტში სხედან, გიორგი გახარია არის „გაღლეტილი“ ტიპი, რომელიც ხელს უშლის მათ კიდევ მეტი მილიონის მოხვეჭაში, პრივილეგიების განმტკიცებაში და ეცდებიან მის მოშორებას...

არ მსურს მოსახლეობა შევაშინო, მაგრამ წინ დაძაბული დღეები გველის. მსოფლიოში ყველაფერი იცვლება — ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სტრუქტურები, ტერიტორიები — მოხდება მსოფლიოს ახალი გადანაწილება.

შემაშფოთებელია ისრაელში მიმდინარე პროცესები.

ტრამპმა იერუსალიმი ებრაელი ხალხის დედაქალაქად აღიარა.

ეს სერიოზული საკითხია, თუმცა კორონა ვირუსის შემოტევამ ეს სხვა პრობლემები მეორე პლანზე გადასწია და ვერ მოასწრეს გააქტიურება სხვადასხვა ჯგუფებმა, იგივე ისლამისტებმა და სხვებმა, რომელთაც თავიანთი სიწმინდეები აქვთ იერუსალიმში. იქ არის ჩვენი მაცხოვრის საფლავიც და ა.შ.



ამასწინათ აქუბარდიასთან ისრაელის ქნესეთის წევრს, საქართველოში დაბადებულ ებრაელს — ესკინს ვუსმინე. აქუბარდია ნატოსა და ევროკავშირზე რომ ელაპარაკებოდა, ეცინებოდა ესკინს — ნატო და ევროკავშირი მალე აღარ იქნებაო, უთხრა.

სხვა რომ არაფერი ეთქვათ, ინგლისი რომ გავიდა ევროკავშირიდან, ეს ყველაზე ხმამაღალი და მძლავრი სიგნალი იყო იმის, რომ ევროკავშირის საქმე უკვე წასულია. სულზე მოუსწრო მათ კორონა ვირუსმა, რადგან თავის კრახს ახლა, სავარაუდოდ, ამ ვირუსს დააბრალებენ.

უკვე გაისმა აქა-იქ — შევქმნათ მსოფლიო მთავრობაო.

წარმოიდგინეთ, რომ ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილების სურათი ჯერ კიდევ სალვადორ დალიმ გვამცნო თავის ნახატში **„გეოპოლიტიკური ყრმა“**. ნახატის ასლი ნატოს შტაბ-ბინაში ჰკიდია და მოგეხსენებათ, იქ შემთხვევით არაფერს არ განათავსებდნენ.

კარგად დააკვირდით ამ ნახატს. სურათის მარჯვენა კუთხეში მდგომი ჰერმაფროდიტი რუკაზე თითს კავკასიისკენ, კერძოდ, საქართველოსკენ იშვერს.

ნახატის შუაგულში ადამიანი იბადება კვერცხიდან, რაც, დამეთანხმებით, პარადოქსალურია. კვერცხიდან იბადება ქათამი და არა ადამიანი, ანუ პოლიტიკური ქათმები დაიბადებიანო. კვერცხიდან ამოდის კაცი, რომლის თავის ჩრდილს თუ დავაკვირდებით, ის საბრძოლო მუზარადს ჰგავს, ე.ი. ახალი პოლიტიკური სუბიექტი ომის და სისხლისღვრის მომტანი იქნება.

მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოქმედი — გეოპოლიტიკური ბავშვი რომ დაიბადოს, ცხადია, ბოროტი ძალებისგან იქნება და როგორც სახარებაშია, მოსწორებული უნდა დახვდეს მიდამო, დედამიწა. სახარების პაროდირებას აკეთებს ბოროტი ძალა. რელიგიას არ ჩავუღრმავდები, ისედაც მიხვდება ნებისმიერი მართლმადიდებელი, თუნდაც მუსულმანი და ყველა, ვინ შეიძლება იყოს მსოფ-

8 გვ. →

# გარღვევის სტრატეგია

„საერთო გაზეთი“ გლობალური გამოწვევების პრევენციისა და ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებზე აგრძელებს საუბარს ცნობილ მეცნიერთან, საზოგადო მოღვაწესთან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან – **ნოდარ ჭითანავასთან**.

საუბარს უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსუ პროფესორი, **იური პაპასქუა**.

**იური პაპასქუა:** საღი აზრი ითხოვს მდგომარეობის არამარტო შეფასებას, არამედ აქედან გამოსვლის ღონისძიებების დასახვას, გაჩერებული ეკონომიკის ძილბურანიდან გამოყვანას, ხელისუფლებისათვის გონივრული რჩევების



მიწოდებას. **თქვენი აზრით, რა არის მთავარი და გადაუდებლად უპირველესი, რაც აქედანვე უნდა დაისახოს და შესრულდეს?**

**ნოდარ ჭითანავა:** ასეთ რთულ, თანაც გლობალური წარმომავლობის სწრაფად ცვალებად ვითარებაშიც კი, ლოკალური პოზიციებიდანაც შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ნეგატიური და პოზიტიური ფაქტორების დანახვა, აგრეთვე იმის განჭვრეტა თუ როგორი იქნება ეკონომიკური გამოწვევა და მოსალოდნელი შედეგებიც, თუმცა მდგომარეობის სწორად აღქმას ართულებს ორი გარემოება – **გლობალური პრესინგი და ეროვნული ეკონომიკის უკიდურესად მძიმე (კრიზისული) მდგომარეობა.** პირველის ზეგავლენის შემცირება დამოკიდებულია სხვებზე და ბევრ ფაქტორზე, რომელთა შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს. შედარებით ადვილი ასახსნელია ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის განმაპირობებელი გარემოებები. შესაძლოა, სხვას დიდ წარმატებად მიაჩნდეს მშპ ზრდის მიღწეული 5,1%, მაგრამ ის კვლავწარმოების მხოლოდ შეკვეცილ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ იგი თანამედროვე მსოფლიოს ფონზე ქმნის გაზვიადებულ წარმოდგენებს. ამ მაჩვენებლის გაზომვის ამოსავალი საწყისი – არა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პიკური დონე (1988 წელი), არამედ, ეკონომიკის ვარდნის ფსკერია, რომელიც 1994 წელს დაფიქსირდა. სწორედ ამ წელს 1988 წელთან შედარებით მშპ-მა შეადგინა – 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 15% (ეს დონე მიღწეული იყო 1954 წელს), სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ – 49% (1945 წლის დონე), ინვესტიციების მოცულობამ – 2,8% (1959 წლის დონე), ტვირთბრუნვამ – 33,4% (1940 წლის დონე).

მშპ ზრდის ჯაჭვური ინდექსი 1990 წლის მიმართ 2003 წელს შეადგენდა – 47,1%-ს, 2012 წელს – 80,1%-ს, 2017 წელს – 96,8%-ს (მათ შორის, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა – 42,2%, მრეწველობა – 60%).

2019 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვით 2018 წელს 1990 წლის მიმართ საქართველოში მშპ-მ შეადგინა 71%. ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანას (გარდა საქართველოსი და უკრაინისა) გადალახული აქვს 1990 წლის დონე. **ეს, რთულ კვანძად ჩამოყალიბებული პრობლემაა.**

საგანგაშოდ უნდა აღინიშნოს, რომ **დღეს მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, ფაქტობრივად, მართვის გარეშეა დარჩენილი.** გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, რომ 2018 წელს საქართველოში 1990 წელთან შედარებით ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 600 ათასი ჰექტრით შემცირდა. ხორბალზე მოთხოვნილება მხოლოდ 15%-ით კმაყოფილდება. ასე, რომ **მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მოსახლეობას საკმაო გამოცდილება აქვს. ხაზგასმით ვამბობ, იმპორტჩანაცვლებაზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია. ჯერ კიდევ დრო გვაქვს.**

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ექსპორტ-იმპორტის ბალანსი დიდი ხანია დარღვეულია. ან მოცემულობის მკვეთრად უარყოფითი გავლენა ეროვნული ეკონომიკაზე ცნობილია, თუმცა მის ნეიტრალიზებაზე ადექვატური ღონისძიებები არ ტარდება. შორს რომ არ წავიდეთ, უახლოესი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს მთლიანად ეკონომიკაში უარყოფითმა სალდომ 5781 მლნ დოლარი შეადგინა. 500 მლნ დოლარით ჭარბობს იმპორტი ექსპორტს სასურსათო პროდუქციის მიხედვით. ცხადია, გარე ფაქტორებზე ასეთი დამოკიდებულება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

საგანგებო ღონისძიებების შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ფუნქციონირების მიზნები, მათი წვლილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაში.

**უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს, გარდაქმნების პროცესში მონაწილე, საზოგადოებრივ პროგრესზე გავლენის მქონე აქტიური სუბიექტები (სახელმწიფო – პოლიტიკური პარტიები – პროფკავშირები – ბიზნესი – არასამთავრობო ორგანიზაციები – მეცნიერება – საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები – ეკლესია) ცალ-ცალკე, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ და ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან. ისევე, როგორც ურთიერთობათა გარკვევის დროს ხდება, მოქმედებს პრინციპი „ყველა ერთის წინააღმდეგ“. სწორედ ის ერთი, უმეტეს წილად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებია.** ეს იმიტომ ხდება, რომ მათი საქმიანობის კოორდინაცია და საქვეყნო მიზნებისათვის კონსოლიდაცია, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ვერ მოხერხდა. სწორედ ეს არის განვლილ პერიოდში ქვეყნის არასტაბილური, უფრო ზუსტად, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი და ორგანიზაციულ-მმართველობითი კრიზისების წარმოქმნის, გახანგრძლივებისა და გაღრმავების ხელშემწყობი გარემოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.



ახალ პირობებში სახელმწიფო, როგორც სისტემაშემქმნელი, პოლიტიკური სუბიექტისა და მესაკუთრის როლს, აგრეთვე პარტნიორობის საფუძველზე კოორდინაციის ფუნქციას უნდა ასრულებდეს (კორონავირუსმა ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა). სამწუხაროდ, საქართველოში 90-იანი წლებიდან განვითარების ასეთი პრინციპი იგნორირებული აღმოჩნდა. ისიც უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ მოირგეს მაშინ სახელმწიფოს დანაწევრებული ფუნქციები კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად აღმოცენებულმა ჯგუფებმა, რომლებიც შეერწყნენ სახელისუფლებო ინსტიტუტებს და საზოგადოებრივ გარდაქმნებს საკუთარი შეხედულებებით წარმართავდნენ. ეკონომიკური ცხოვრება აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში, რამაც ეროვნული სიმდიდრის დატაცების ხელსაყრელი გარემო შექმნა. ამას დაემატა ის, რომ მაშინ „ახალი აზროვნებით“ მოსულმა უმრავლესობამ პირად კეთილდღეობას მორგებული ამოცანა შეასრულა და სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა პირწმინდად დაანგრია. ასეთ შედეგებში განმსაზღვრელი **როლი შეასრულა სახელმწიფოს მართვაში პირდაპირ ქუჩიდან მოსულთა არაკომპეტენტურობამ.** სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და სახეშეცვლილი ფორმით ახლაც გრძელდება.

**ამრიგად, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესმა, როგორც ბუნებრივად ობიექტურმა მოვლენამ, მთლიანობაში სისტემის ფორმა და შინაარსი ვერ შეინარჩუნა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის ობიექტური პროცესი დამანგრეველ ფაქტორად გადააქცია. მოგეხსენებათ, ინერცია საკუთარ ხელწერას დიდხანს ინარჩუნებს.**

**ასეთია მწარე რეალობა.**

ახალი გამოწვევების პირისპირ ვდგავართ. ერთად-ერთი გზა გვაქვს – ნებისმიერი გამოწვევა უნდა მივიღოთ. ჩემი აზრით, დღევანდელ ეტაპზე მთავრობამ სწორად განსაზღვრა ორერთიანი ამოცანა: **ეპიდემიის დაძლევა და ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ახლა მთავარია ორგანიზებულად ვიმოქმედოთ.**

**იური პაპასქუა:** ორგანიზებულად მომედებაში რას გულისხმობთ?

**ნოდარ ჭითანავა:** ცხადია, სამოქმედო გეგმის მუხლობრივ დეტალებზე აქ ვერ ვიმსჯელებთ. მაგრამ განსახორციელებელ ღონისძიებათა კომპლექსის რამდენიმე ძირითად მიმართულებას შევეხები:

**პირველი.** არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რეალურად უნდა განისაზღვროს კრიზისიდან გამოსვლის მთავარი მიმართულებები, ეტაპები, ტემპები, ტაქტიკურად სწორად უნდა დავსვათ ამოცანა. აუცილებელია ოპერატიული პროგრამა-გეგმის შემუშავება. ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სამეურნეო სუბიექტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას (საკუთრების ფორმის მიუხედავად), სამინისტროს, მხარეს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური ზრდის საკუთარი პროგრამა-გეგმა, რომელიც წინასწარ იქნება შეჯერებული რესურსულ, საწარმოო-შრომით პოტენციალთან და შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს მექანიზმი დასახული მიზნების შესრულების კონტროლისათვის.

**მეორე.** ადგილებიდან მიღებული პროგრამა-გეგმის საფუძველზე, საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული რესურსების მოზიდვის გათვალისწინებით შესდგეს საერ-



8 გვ. →

## მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერენ ხელს, მე რომ „თბილისურ მაფიად“ მოვიხსენიებდი, ის მილიონერი ქართველები სად არიან და რატომ არ ეხმარებიან ქვეყანას?



6 გვ.

ლიოს ახალი ერთმმართველი. ამიტომ არც მსურს და არც შემიძლია გითხრათ, მსოფლიო მმართველობა და მსოფლიო მმართველი ბოლო ჟამის წინა მმართველი იქნება თუ თავად ის იქნება ბოროტების სათავე.

**— წელან საქართველოსკენ მითითებული ხელი ახსენეთ. ეს, თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს?**

— საქართველოს ქრისტე და ქრისტიანობა მაშინ არ უარუყვია, როცა უფლის დედამიწაზე კაცად ყოფნის პერიოდში კეთრი და შავი ჭირი ჭამდა მოსახლეობას. თუ გახსოვთ, ისტორიულად, კეთროვნებს საჭმელს შორიდან აწვდიდნენ. კორონა ვირუსი იმასთან ბავშვური თამაშია და ახლაც, ქართულმა ეკლესიამ და სახელმწიფომ მსოფლიოში საოცრებები რომ ჩაიდინა და დღემდე არ აპირებს საქართველო ეკლესიების დახურვას ისე, როგორც ეს ბევრმა ქვეყანამ გააკეთა, ეს ბევრ რამეზე მიუთითებს. ღვთისმსახურება ჩვენთვის რიტუალი არაა. ეს არის საღვთო საიდუმლოება და ამაზე ჩვენ უარს ვერ ვიტყვით.

პოლიტიკურ მუტანტს დალის ტილოზე თითი იმიტომ აქვს მიშვერილი კავკასიისკენ, ჯერ ერთი, ჰეგელს თუ დავიმოწმებთ, ყოველი ცივილიზებული აზროვნება კავკასიიდან, ანუ მისი ცენტრიდან — საქართველოდან არის წამოსულიო და კიდევ, ეს ტერიტორიული ნაწილი და ხალხი უშლის ხელს კაცობრიობის მტრებს ბნელი მიზნების განხორციელებაში.

ამ ტილოს ზედა ნაწილში სუფრასავით არის გადაფარებული 13-ბოლოიანი ნაჭერი, რაც ევროკავშირის 13 სახელმწიფოს აღნიშნავს, თითქოსდა, სწორედ მათი მფარველობით უნდა დაიბადოს გეოპოლიტიკური ბავშვიო. აქაც „სახარების“ პაროდირებაა, როგორც ქრისტეს 12 მოწაფე და ქრისტეიანად, რაოდენობივად, 13. 13 ვარსკვლავი იყო თავდაპირველად ამერიკის დროშაზე, რადგან სწორედ 13 სახელმწიფომ შექმნა შეერთებული შტატები და ა.შ. ბევრი ანალოგიის და დამთხვევის პოვნა შეიძლება, მაგრამ ერთ რამეზე მინდა განსაკუთრებულად გავამახვილო მკითხველის ყურადღება: საქართველოს და ქართველ ერს იცავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. ეს არის კანონიკა, არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ ყველასი. ეს არის ისტორია, როგორც, მაგალითად, მაკედონელმა რომ დაიპყრო სპარსეთი და არა ლეგენდა, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ, რომ წარმოაჩინონ.

ღვთისმშობელი გვიფარავს და გვიცავს ჩვენ და დაგვიცავს ყოველთვის, მთავარია, ჩვენ მტკიცედ ვიდგეთ ღვთის რჯულზე. ამიტომაც არაა საშიში კორონა ვირუსი. მძიმე დაავადება იყო ქათმის გრიპიც, ღორის გრიპი, ებოლა, ვირუსები ყოველთვის იყო და იქნება, მთავარია ჩვენი რწმენა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# გარღვევის სტრატეგია

7 გვ.

თო პროგრამა, რომელშიც კონკრეტული პერიოდების მიხედვით განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შენარჩუნების, ახლის შექმნის, დაუმუშავებელი მიწის ფართობების ათვისების, სარწყავი ფართობების გადიდების, საერთოდ, იმპორტჩანაცვლების და სხვა ღონისძიებები. პროგრამა უნდა დაამტკიცოს მთავრობამ. **ამ პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ დიდ რეზერვად უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში შემოსული და ადგილზე არსებული ფინანსური რესურსების კონცენტრაცია** (ანტიკრიზისული ფონდი) და **აკუმულირებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება.**

**მესამე**. არ დავუშვათ უხეში შეცდომები ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებაში. ოპერატიულ პროგრამა-გეგმის რეალიზაციასთან ერთად, აუცილებელია პოლიტიკოსების, თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა **წარიმართოს მომავალში ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის.** ამ მიზნით დეპუტატების, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, მეცნიერების, პრაქტიკოსების მონაწილეობით ჩამოყალიბდეს სპეციალური ჯგუფები, რივად და თანმიმდევრულად იმოქმედოს. არ უნდა გამოვრიცხოთ კრიზისის დაძლევისათვის გამოვიყენოთ დროებითი ფუნქციების შესრულებისთვის შესაბამისი სტრუქტურებიც. კარგ შედეგს იძლევა კონკრეტული მიმართულებებით პასუხისმგებელ პირებზე ფუნქციების მინიჭების პრაქტიკა. **ოპერატიული და სტრატეგიული პროგრამების განხორციელებაში აქტიურად უნდა იყონ ჩართული ყველა, ვისაც შესაბამისი უნარი აქვს. ახლა არ არის ძალების დაქსაქსვის დრო. ეროვნული ენერგიის კონცენტრაციის შესაძლებლობა მაქსიმალურად და სწორად უნდა გამოვიყენოთ.** როგორც ინფექციებთან, ასევე ეკონომიკურ კრიზისებთან ბრძოლის ღონისძიებებში უნდა აისახოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესები. მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ ინგირი-გალის მონაკვეთზე (სივრცეში) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციით) ფორმირების საკითხი. მისი სწორად გამოყენებით ბევრი სასიკეთო საქმის გადაწყვეტა შეიძლება.

**მეხუთე**. კრიზისულ მოვლენებთან ბრძოლაში უდაოდ თავს იჩენს მეცნიერების მიმართ თავის დროზე სახელმწიფოს მიერ დაშვებული შეცდომების შედეგები. დღეს




რომელიც უახლოეს 2–3 თვეში მოამზადებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტს და შესაბამისი პროცედურების გავლით დაამტკიცოს პარლამენტმა. მიღებული დოკუმენტით (პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მას „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ – გარღვევის სტრატეგია 2021–2025 წლებისათვის“) განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში აქტიურად უნდა ჩაერთონ პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო სტრუქტურები, სამეცნიერო ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობაც).

ასეთი პოზიცია შეიძლება მავანმა ეკონომიკაში უხეშ ჩარევად და დემოკრატიულ ფასეულობათა იგნორირების მცდელობად მიიჩნიოს. მოვალენი ვართ ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის სერიოზულობა, არაწინასწარ აკვიატებული აზრებით, არამედ გონებით, ზნეობით, ქვეყნის მომავლის ინტერესებით განვსაზღვროთ.

„ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ მოქმედება გვმართებს!

**მეოთხე**. ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას, საჭირო სტაბილიზაციის უზრუნველყოფას, მხოლოდ ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებებით (რაოდენ მობილურიც არ უნდა იყოს მათი მექანიზმი) ვერ მივაღწევთ. საჭიროა შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა. უმთავრესია, სახელმწიფომ (მთავრობამ) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, მიზნობ-

ქვეყანაში არც ერთი სამეცნიერო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურა სრულყოფილად არ მუშაობს პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების პრობლემებზე. ეს პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე აისახა. განვითარების ე.წ. სტრატეგიები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იქმნება, მდგომარეობის თვისებრივად შეცვლას ვერ უზრუნველყოფს. დროს უაზრო დისკუსიებში ვკარგავთ.

**უნდა შეიქმნას ანალიტიკური ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების კომპლექსურ ანალიზს, მოამზადებს შესაბამის პროგნოზებსა და რეკომენდაციებს და შესთავაზებს ხელისუფლებას. ასეთი ცენტრი დღევანდელ პირობებში პრემიერ-მინისტრთან უნდა ფუნქციონირებდეს.**

**დაბოლოს**, ილუზიებიდან უნდა გამოვიდეთ. თავს მომავლის წარმატებული პეიზაჟებით ნუ ვინუგეშებთ. ეს წარსულის მწარე გამოცდილებიდან მუდამ უნდა გვახსოვდეს. საზოგადოება ბევრჯერ მოტყუვდა. პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია.

დღეს მდგომარეობა მძიმეა. დასკვნების გაკეთება გვმართებს.

**იური პაპასქუა:** მადლობა ბატონო ნოდარ, თქვენი აქცენტები ახალ კითხვებს ბადებს. უფლებას დავიტოვებთ, დაზუსტებებისთვის კიდევ მომავალშიც მოგმართოთ.

საუბარს უძღვებოდა
**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სსუ პროფესორი

# „ტუპოების", ბოზებისა და ბოზიშვილების „პარადი" საქართველოში

ნაცები, შმაცები, გნაცები, ბოზები, ბოზიშვილები და მათთან გათანაბრებული პირები მიხვდნენ რა, ამ მთავრობის ძალზედ ეფექტური მუშაობის ფონზე საბოლოოდ დაგვერხაო, დასხდნენ და შეიმუშავეს ახალი გეგმა (გეგმები). მაგალითად, მამუკა ხაზარაძის „ლელომ", ბადრი ჯაფარიძეზე დაყრდნობით, უცებ მოხაზა 6-მილიარდიანი ანტიკრიზისული მოდელი, სადაც „მშვენივრადაა" განაწილებული თანხები, ოღონდ ეს 6 მილიარდი ჩვენ უნდა მოვუტანოთ „ლელოს", მერე თვითონ გაანაწილებენ.



ჰა, ხომ მაგარია? თქვენ ფული მოგვეცით, მილიარდები, დანარჩენი ჩვენ ვიცით, დაშ-ხოშიანად გავანაწილებთო.

აი, გმირობა... აი, პატრიოტიზმი... აი, მამულიშვილობა!

ჰოდა, იმას ვამბობდი... მიხვდნენ რა, ნაცები, შმაცები, გნაცები და მათთან გათანაბრებული პირები, ამ ხელისუფლების ორგანიზებულობის ფონზე საბოლოოდ დაგვენძრაო, დასხდნენ და მოიფიქრეს შემდეგი: ნეხვით სავსე სცენაზე გამოიყვანეს ჭკუანაკლულები... მაგალითად, ისეთები, როგორიცაა „ჟურნალისტი" თენგო გოგოტიშვილი. ნახეთ, რას ქადაგებს, ეს უბედური:

„გაინტერესებთ, რით ხელმძღვანელობს თვალთხარია გადაწყვეტილებების მიღებისას? მოსკოვიდან იღებს „ნავოდკებს" და იმეორებს „ერთი-ერთში"! აგერ ნახეთ, როგორ ჩაკეტეს ღრუსებმა ციხეები და შემოიღეს კარანტინი გაურკვეველი ვადით".

ამ დუნდუკს, ახლა ჰგონია, მაგარი რაღაცა გაგვიმხილა... ესე იგიო, გიორგი გახარია დავალებებს მოსკოვიდან იღებს და ამიტომაც გამოაცხადა ციხეებში კარანტინიო. მეცინება, ბატონი „ყლენგო" იმდენადაა ჩარჩენილი საკუთარ განავალში, ველარც კი ხვდება, რომ ამნაირი ყ...ეობები აღარ იყიდება საქართველოში. ჯერ ერთი, გახარიამ (მთავრობამ) გაცილებით ადრე გააკეთა ის, რასაც რუსეთში ამჟამად აკეთებენ და მეორეც – ვინ ამბობს ამას, „კაკეგებშნიკ" ღრიღოლ ვაშაძის „კლასტერის" წევრი და კრემლის აგენტ სააკაშვილის მოწაფე? ისე, რაღა დაგიმალოთ და... ტელევიზორში შემთხვევით რომ დავინახავ ხოლმე ამ უდღეურს, სულ ვფიქრობ, ხომ შეიძლებოდა, ამის გამკეთებელს ამის ნაცვლად „ტაბურეტკა" გაეკეთებინა, ერთი 70 წელს გადაცილებული პენსიონერი მაინც ხომ ჩამოჯდებოდა, ცოტა ხანს მაინც ხომ დაისვენებდა? თუმცა... მაგას რომ ვუყურებ, „ტაბურეტკაც" ასეთივე დამპალი იქნებოდა. იქნებ უნიტაზი გაეკეთებინა მამისს, ან კიდევ კანალიზაციის მილი? ორივე უხარისხო იქნებოდა, მაგრამ რა ვიცი, ცოტა ხანს მაინც ხომ შეასრულებდა თავის მოვალეობას?!



მეორე დებილი, ანუ როგორც თავად ამბობს, „ტუპოი" გახლავთ მიშა მშვილდაძე, რომელიც ამ ზაფხულს ნაკერავზე გაიხა არაერთხელ. უკაცრავად, მაგრამ ამ თესლითვის თურმე უკეთესია, ხალხი დაიხოცოს ვირუსით, ვიდრე გიორგი გახარიამ გაიმარჯვოს (სტილი დაცულია):

„ძაან ტუპოები შეიძლება მაინც ვერ მიხვდნენ, მარა საშუალოებს აქვსთ არაუშავს შანსი: ოღონდც არცერთი ადამიანი არ დაიღუპოს კორონათი საქართველოში და თუგინდ ისევ გახარიას დაეწეროს ქულები და სულ ლიწინ-ლიწინით მოიგოს არჩევნები – რაც თავის მხრივ აგრეთვე უსამართლო ყლეობა იქნება და ბოზიშვილი ვიყო ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვერ მოიგოს მაგ სირმა ვერაფერი, მაგრამ თუ მაინც მოიგებს, ეგ მირჩევნია იმას, რომ ერთი ადამიანი მაინც დაიღუპოს კორონათი საქართველოში – კაპიშ"?

ხედავთ, რა დონის ნაძირლებთან გვაქვს (გაქვთ) საქმე? ბოზიშვილი ვიყო, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გახარიამ ქულები არ დაიწეროსო. რა ქულებს იწერს გახარია? არაფერს, ადამიანი მუშაობს 24 საათის განმავლობაში და მუშაობს უშეცდომოდ. ამ ღორის ტილს კი ჰგონია, თუ ერთი ადამიანიც კი დაიღუპება საქართველოში, ეგრევე გამოვა მოსახლეობა ქუჩაში და ხელისუფლებას ჩაქოლავს. იცით, როდესაც კორონამ შემოგვიტია და ეს ფარჩაკები ერთ ხანობას ჩაჩუმდნენ, მეგონა, გონს მოვიდნენ და ცოტაოდენ ჭკუა ისწავლეს. არა, ამათი გამოსწორების არ მჯეროდა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, ქვეყანას გვერდით დაუდგებიან-მეთქი. თურმე სად ხარ, გელა, რომელ მდინარეში ჭყუმპალაობ, ამათი გამოსწორება ვინ თქვა, სად გაგონილა? ისე, ერთ რაღაცას კი ამბობს მართალს – ბოზიშვილი ვიყოო. ჰმ, უკვე ხარ, მიშა, შენ დიდიხანია ბოზობას აწვები!

ალბათ, ატყობთ, დებილები-მეთქი, დავიწყე და ნელ-ნელა ბოზებზე გადავედი. ამათში ჩემი მეგობარი შალვა ნათელაშვილიც რომ არ გაერიოს, არ იქნება... მე რა, მე კი ძალიანაც არ



მინდა, მაგრამ თვითონ გამოერევა ხოლმე – ისეთებს ლაპარაკობს, ნუ, გინდა, არ გინდა, თავს მაინც შეგახსენებს. ესე იგი, როგორც კი გამოაცხადა გიორგი გახარიამ, მოსახლეობას სამით თვის განმავლობაში დენისა და გაზის გადასახადს ჩვენ დავუფარავთ, არც კომუნალურებზე შეწუხდეთო, ეგრევე გამოვარდა და მოგვილოცა (სტილი დაცულია):



„გილოცავთ!!! ლეიბორისტებმა მაინც გავაკეთებინეთ კომუნალური გადასახადთა სამთვიანი ჩამოწერა. დენი, გაზი, წყალი, დასუფთვება. მთავრობამ ბევრი კი იქნია ფეხები, ჩვენზე ცილისწამების ოკეანე გადმოასხა, დახოცა წერით საკუთარი ტროლ-ბოტები, მაგრამ ხალხს მაინც მიეცა გარკვეული შვება. თუმცა ეს არასაკმარისია. ივანიშვილმა უნდა გახსნას მოპარული მილიარდების ზარდახშა დაურიგოს თვითეულ ოჯახს 1000 ლარი და საგანგებო რეჟიმისას ჩამოაწეროს საბანკო დავალიანებები. მადლობა ყველა პარტიას ვინც მხარს გვიჭერდა ამ საქმეშიც".

ესე იგი, ძალიანაც კი არ უნდოდა მთავრობას, მაგრამ შალვა ნათელაშვილმა მეტი გზა აღარ დაუტოვა, ყველა გზა მოუჭრა და მიუხედავად ტროლ-ბოტების ლანძღვა-გინებისა, მაინც გაიმარჯვა... ვაშაააა! თუმცა, მეგობრებო, ეს მაინც არ არის საკმარისი, ბიძინამ უნდა მოხსნას ზარდახშას სახურავი, ამოიღოს ოქროს უზალთუნები და დაარიგოს მოსახლეობაში. არ არის გამორიცხული, ეს ღვთისნიერი ადამიანი ასეც მოიქცეს, მაგრამ იცით, რა მოხდება? გამოვარდება დუშელი შალიკო და თვითონ მიიწერს, მე დაგირიგეთ, მე ვაიძულე, ეს ყველაფერი ჩემი დამსახურებააო. მოდით, აქ ერთი წამით დავფიქრდეთ და დავსვათ შეკითხვა: ახლა ივანიშვილმა შალიკოს ჯინაზე არაფერიც რომ არ გაიღოს, ხომ იქნება იგივე შალიკო მავნებელი? გამოდის, ეს პლაგიატი საქმეს კი არ გვიკეთებს, გვიფუჭებს. თან ამტკიცებს, ბიძინას ფული რომ აქვს ზარდახშაში, ეგ მოპარულია, ადრე თქვენი იყო და ისე აგაცალათ, ვერაფერი გაიგეთო. იცით, ადამიანი ასე მონდომებით ითხრიდეს თავის პოლიტიკურ სამარეს, პირველად ვნახე!

შემდეგი სადგური კი არა და... შემდეგი დებილი გახლავთ „აქუს" კნეინა „ჯანგო", რომელიც აცხადებს: ჰიიიჰ, საქართველოში სიტუაცია გაცილებით რთულადაა, ესენი გაგებაში არ არიან, კორონა უკვე დაერია მთელ ქვეყანასო. ეს ქალი თავიდანვე ითხოვდა, კორონას ქართველმა ბოსებმა (კორონას ბოსებმაო) ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდონ, თორემ ცოტა ხანში დავამხობთ და მერე არ გეწყინოთო. წესით, ეგეთ რაღაცებზე ნორმალურმა ადამიანმა კაი გვარიანად უნდა იცინოს (და ბევრი იცინის კიდევაც), მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში არიან მენტალურად დაქვეითებულნი, რომლებიც „ჯანგოს" და მისნაირებს ტაშს უკრავენ. კი, ცოტანი არიან, მაგრამ მაინც ხომ არიან?!



და ბოლოს... ყველაზე მაგარი დებილი (ღმერთო, არ მჯერა, რომ ეს იყო ჩვენი პრეზიდენტი), რომელიც ჩაძირულია ჭაობში, მარტო თავი უჩანს და ათასნაირ სისულელეს ლაპარაკობს: მეო, მე ვარ აღმაშენებელიო... ჩემამდე საქართველოში ულვაშებით დადიოდნენ, ერთი ჩამორჩენილი, ბოგანო ქვეყანა იყოო... მოვედიო, ყველაფერი მე გავაკეთეო, საავადმყოფოები ავაშენე, ლაბორატორიები გავხსენი, სახელმწიფო შევქმენი და ეხლა ამ ყველაფერს დემონები მოასხდნენო. მეო, ეხლა 10 ათასი ადამიანის დაბრუნება მინდა საქართველოში, მაგრამ მთავრობა უარს მეუბნებაო. ამას ჩემი ხარჯებით გავაკეთებო!

ცოტა ხნის წინ ბატონი მიხა სააკაშვილი ემიგრანტებს ეხვეწებოდა, ჯიბეში ერთი ცენტიც აღარ მიჭყავის, დამეხმარეთ, ფული ჩამირიცხეთ და ერთად დავბრუნდეთ სამშობლოშიო. ამათაც (ზოგიერთმა) დაიჯერეს, ურიცხეს მიხოს დაქირავებულ ვინმე გიორგი სიგუას ფულები, ახლა კიდევ პრეტენზიობენ, წამოსასვლელი თანხები არ გვაქვს, ბიძინამ გადაგვიხადოსო. მიხო იძახის, ამას მე ვიზამო. შე ჩემა, თუ ცოტა ხნის წინ ერთი კაპეიკიც არ გქონდა, ახლა საიდან, როგორ, რანაირად? თუმცა, ვიცით (ადრეც ვიცოდით), რომ ეგ მხოლოდ „რიჟა ბაზარი" იყო, უბრალოდ მაყუთი დააწერე ემიგრანტებს!

სხვათა შორის, მიხოს კაპრიზიანობას პრემიერ-მინისტრმა გახარიამ ასე უპასუხა:

„ვინმეს თუ დახმარების სურვილი აქვს, ნებართვა არ სჭირდება რეისს ევროპიდან საქართველოში, საჭიროა, მიმართო იმ ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებას და ეს ორგანიზდება ნახევარ საათში".

აქ მიხო გაჩუმდა... მიხომ მოკეტა იმიტომ, რომ თავიდანვე თამაშობდა, ტყუოდა, ცრუობდა – ცდილობდა, ხელისუფლებისთვის ვითომ პრობლემა მოეხვია და თვი-



თონ გმირად წარმოჩენილიყო. არ გამოგდის, მიხო, ეს აღმაშენებლობა და გმირობა, ეს დედამოტ...ნული, რატომ არ „დაატორმუზებ"?!

გინდათ, გითხრათ მაგარი რამე? უკრაინაში არის ტელეარხი „სვობოდა სლოვა", სადაც მიხო მიუწვევიათ და იცით, რას ამბობს? უკრაინაში ემიგრანტები არ უნდა ჩამოვიყვანოთ, ვირუსის მასშტაბები გაგვეზრდებაო. საქართველოს შემთხვევაში კი ამბობს, 10 000 ემიგრანტი სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთო.

არა, რააა... ვერ ამოვიდნენ, ეს ტვინით ნაკლულები, ეს ბოზები იმ ჭაობიდან, სადაც აქამდე ისხდნენ და გვარწმუნებდნენ, დემოკრატიის ოაზისში ვსხედვართო!

ოეეე... ჭაობში ხართ, ჭაობში!

და ამიტომაც აღარასდროს იქნება ის ხელისუფლება, რომელსაც თქვენ დააკომპლექტებთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# 2020 წლიდან მეტი სინათლე უნდა შემოვიდეს დედამიწაზე



*გვესაუბრება მკვლევარი კახაბერ ჭილლაძე*

**— ბატონო კახა, როგორც ქართული ფესვების მკვლევარს, არ შემიძლია არ გკითხოთ: მაშინ, როცა მსოფლიოში მილიონამდე ადამიანი გარდაიცვალა ახალი ვირუსით, ჩვენმა ექიმებმა საქართველოში მხოლოდ ერთ ასაკოვან ქალბატონს ვერ შეუნარჩუნეს სიცოცხლე. რას მიაწერთ იმას, რომ ჯერჯერობით ვაჟკაცურად ვუმკლავდებით ამ საშიშროებას?**

— საქართველოს და ქართველ ხალხს კორონაზე უარესი მტრები მოუნელებია, უამრავი გასაჭირი გვაქვს გამოვლილი, ყველაფრისთვის მზად არის ქართველი და საქართველო.

კორონა ვირუსი თავსდამტყდარი პირველი უბედურება არაა და ალბათ, არც უკანასკნელი იქნება. ჩვენ ვერაფერს ვიზამთ, თავს მოსალოდნელი და გარდაუვალი გასაჭირისგან ვერ დავიხსნით — უნდა ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. მით უმეტეს, რომ სამყაროში არც ჩვენი ფუნქცია და არც დანიშნულება არაა შემთხვევითი და უბრალო, როგორც წინა ინტერვიუებშიც მოგახსენეთ.

**— ამჯერად რა ახალ მიგნებაზე გვესაუბრებით?**

— სასაუბრო ძალიან ბევრია, მაგრამ დღეს ქართულ ანბანსა და ადამიანის დნმ-ზე ვისაუბრებ, რომელიც არ არის მარტივად ასახსნელი და გასაგები, თუმცა შევეცდები, შედარებით მარტივად მივაწოდო ჩვენს მკითხველს.

მოგეხსენებათ, ადამიანის დნმ-ს თავისებური სტრუქტურა აქვს და იგი სხვადასხვა ნივთიერებებისგან შედგება. ამ შემადგენლობას აქვს აზოტოვანი ფუძეები და ქმნიან 32 მუხლს. თავად აზოტოვანი ფუძე ოთხია. ჯამში გამოდის 36. თუ ადამიანის დნმ-ის რიცხობრივ შემადგენლობას ასომთავრულ ანბანს შევადარებთ, სადაც 32 თანხმოვანი და ოთხი ხმოვანია, ზუსტად ჯდება ამ სტრუქტურაში, თუმცა არა მხოლოდ რიცხობრივად, არამედ განლაგებითაც ემთხვევა.

ჩვენს ანბანში არსებული ასო-ბგერების შესატყვისი ერთეულები, ათეულები და ასეულები დნმ-ის სტრუქტურის შესაბამისია.

ხმოვნების ადგილას შეგვიძლია მოვიაზროთ აზოტოვანი ფუძეები: ადენინი, თიმინი, გუანინი და ციტოზინი, რომლებიც აკავშირებენ ამ მუხლებს, ანუ სპირალის, ჯაჭვის დამაკავშირებელი არიან. ეს დამთხვევა შეუძლებელია უბრალო იყოს და ისიც შეუძლებელია, როცა ქართული ანბანი შეიქმნა და გამოცხადდა ქვეყნიერებისთვის, გენეტიკა და მისი შემადგენლობა მოლეკულურ დონეზე ვინმეს სცოდნოდა დედამიწაზე. როგორც ჩანს, სამყაროში არის რაღაც კანონზომიერება, მატრიცა, რომელზეც იგება მოლეკულური სისტემა და აგებულია ჩვენი ანბანიც.

მოგეხსენებათ, მოლეკულური და საერთოდ, პლანეტარული სისტემა იდენტური და მსგავსია ისე, როგორც, მაგალითად, ატომბირთვი და მის გარშემო მოძრავი ნეიტრონები და პროტონები, როგორც მზის სისტემაში — შუაში მზე და გარშემო მზის სისტემის პლანეტები. შეუძლებელია ეს უბრალო დამთხვევები იყოს მიკრო და მაკრო სამყაროებში.

ასე რომ, საფიქრებელია, ჩვენმა წინაპარმა ეს მატრიცა იცოდა, ბაზისი, ის საფუძველი იცოდა, რა პრინციპითაც იყო მოწყობილი სამყარო და ამ პრინციპზე დაყრდნობით დაალაგა ქართული ანბანიც.

**— გამიგონია ქართული ენა ღვთიური, ზებუნებრივი ენააო, თქვენ კი ბრძანებთ, რომ ჩვენი ენა წინაპრებმა შექმნეს. ენის ღვთაებრიობა ლეგენდის სფეროა და კაცთა ცოდნა რეალური?**

— არა და არა. შეუძლებელია, ჩვეულებრივ მოკვდავს სცოდნოდა ან მოეფიქრებინა ასეთი რამ. ეს ენდემური ცოდნაა.

წარღვნისშემდგომი სიცოცხლის შესახებ, ასე თუ ისე, ვიცით, ბოლო გამყინვარების შემდეგ, დაახლოებით, 12000 წლის წინანდელი მოვლენების მერე ვიცით, როგორ განვითარდა ადამიანი, მაგრამ მანამდე რა იყო, ძნელია, რაიმე ითქვას.

გამყინვარების შემდგომი პერიოდი მთლიანად უკავშირდება კავკასიას. აქ არის ნაპოვნი კოტიარის, საწურბლიას, ძუძუანას მღვიმეში უძველესი ადამიანის ნეშთი, საიდანაც აიღეს დნმ-ის მასალა, გამოიკვლიეს გენომი და აღმოჩნდა, რომ მამობრივი ხაზის Y ქრომოსომის კვლევით შექმნილ სტრუქტურაში კავკასიაში ფიქსირდება GEY და GE ჰაპლოჯგუფები. რაც ამტკიცებს, რომ თეთრკანიანი ადამიანი კავკასიაში ჩამოყალიბდა და აქედან გავრცელდა მსოფლიოში. ის გონებრივად და ინტელექტუალურად ბევრად უსწრებდა და უსწრებს ახლაც დანარჩენ მსოფლიოში არსებულ რასებს.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარღვნისშემდგომი ცოდნა და ყველაფერი, რაც წარღვნამდეც იცოდა ადამიანმა, მოდის კავკასიელი აბორიგენებისგან, ანუ ჩვენი წინაპრებისგან. აქედან გავრცელდა მერე მთელ მსოფლიოში ენა, დამწერლობა და ენის სტრუქტურა, ზოგადად, მაგრამ არა ისე სრულყოფილად, როგორც ჩვენთან და როგორც ჩვენი ენა.

ქართული ენა უნიკალურია, როგორც წარმოთქმის, ჟღერადობის თვალსაზრისით, ისე მოზახულობით, რიცხობრივი სტრუტურით და ა.შ. და ა.შ.

ყველა ქართულ ასო-ბგერაში ყველა ხაზს, წრეს, ნუმერაციას თავისი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ასოებს რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობები აქვს, ანუ ოთხი ინფორმაცია დევს ქართული ანბანის ერთ ასო-ბგერაში. სამწუხაროდ, ანბანი ასეთი ფორმით დღეს არ განიხილება, თუმცა ადრე ანბანს ჰქონდა მრავალმხრივი მნიშვნელობა. მაგალითად, თარიღს წერდნენ ქართული ასოებით. უძველეს საფლავებზე წლები ქართული ანბანითაა აღნიშნული.

**— აბა, შუმერებმა შექმნეს რიცხვებიო?**

— დიახ, შუმერებს ჰქონდათ ნუმერაცია — თვლის ათობითი და სამოცობითი სისტემა, თუმცა შეუძლებელია ასეთი სიმარტივიდან ჩვენი ანბანისნაირი სრულყოფილება შეიქმნას. უფრო შესაძლებელია, სრულყოფილებიდან მარტივი მიიღო, ვიდრე პირიქით.

ჯერ უნდა ყოფილიყო ქართული ანბანი, როგორც ნიმუში, ეტალონი.

შეუძლებელია ველოსიპედიდან ბოინგი ააწყო, ბოინგიდან კი ბევრი რამ შეგიძლიათ შექმნათ.

ქართული ანბანი, როგორც ჩანს, იყო წარღვნამდეც, გამყინვარებამდეც, ინახებოდა იგი და მერე გადმოეცა ჩვენს წინაპრებს.

ფარნავაზმა ჩვ.წ.აღ.-მდე 284 წელს გადაწყვიტა სააშკარაოზე გამოეტანა ეს.

**— სხვათა შორის, ამ ანბანის გაცხადება და ფარნავაზის ისტორია დაუჯერებელ ფაქტებს ეყრდნობა.**

— რა თქმა უნდა, ფარნავაზის გამოჩენა, მისი სიზმარი, რომ წელზე მზის სხივი შემოერტყა, მაღლა აზიდა და ა.შ. ეს, შესაძლოა, მას სიზმარი ეგონა, შეიძლება ცხადიც იყო, მაგრამ ჩვენი მეცნიერები და მკვლევარები ამტკიცებენ და ჩვენი მიწაც არქეოლოგიურად ცხადჰყოფს, რომ მანამდეც ყოფილა ის ასო-ნიშნები ხალხში, რაც შემდეგ უკვე ანბანში გვხვდება.

თუნდაც გან-ი, დონ-ი, ენ-ი, გვხვდება სხვადასხვა ადგილებსა და ტერიტორიებზე.

**— ეს შეიძლება იყო ნიშნები და მერე შეიკრიბა ანბანად?**

— არა, ეს დაუშლელი სტრუქტურაა. ცალ-ცალკე არ შეიძლებოდა არსებულიყო. უბრალოდ, ადამიანები მას ცალ-ცალკე სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებდნენ. მაგალითად, **დონ**-ი Ⴃ აღნიშნავდა მზის ზენიტში დგომას. **ქან**-ი Ⴕ ჯვრის ამსახველი იყო, როგორც მარადიული ბრუნვის ნიშანი, **ღან**-ი Ⴖ ცის თაღს აღნიშნავდა, **ან**-ი Ⴀ მთვარის ნიშანი და ა.შ. დიახ, ყველა ასო-ბგერას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

რაც შეეხება ფარნავაზს — ადრე არ იყო გადმოცემის ისეთი ფორმები, როგორც დღეს არის, მაშინ მითოსის და ზღაპრის საბურველში იხვეოდა ყველა მონათხრობი. თუმცა ფარნავაზს რომ ზეციური ძალები ამოძრავებდნენ, ამაზე, მგონი, ორი აზრიც არ არსებობს.

**— რატომ ამბობთ ამას ასე დაჟინებით, როგორ დაამტკიცებთ?**

— ყველამ ვიცით, რომ მესიის მოსვლა 300 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს, როგორც ღმერთის მოსვლა და როგორც ახალი ერის დადგომა.

მთელი ინფორმაცია ამის შესახებ ჩვენს ენაში ძევს.

ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის გამოააშკარავების თარიღი 284 წელი არის 10 ქორონიკონის დასასრული ჩვენი წელთაღრიცხვიდან, ანუ ქრისტემდე 5604 წელი.

ასეთი გრძელი წელთაღრიცხვა მსოფლიოში არავის არ აქვს.

ერთადერთი შუმერულია, რომელიც ემთხვევა ჩვენსას, შემდეგ მოდის ბაბილონური და ა.შ.

2020 წელი გარდამტეხი იქნება. ამას ზუსტი გამოთვლებით ვამბობ, რადგან არასდროს არაფერი არ მითქვამს ზედაპირულად და დაუფიქრელად.

ჩვენი წინაპრებიდან შემონახულ ცოდნაზე და ცნობებზე დაყრდნობით, ვღებულობთ ზუსტ თარიღებს. ანუ ყველაფერი, რაც იყო, დასრულდა და 2020-დან უნდა დაიწყოს ახალი ერა, ახალი დღის, იგივე სინათლის მატება.

ტყუილად და გასართობად არაფერს არ აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები. ისხდნენ და აზროვნებდნენ, ითვლიდნენ, იკვლევდნენ და დასკვნებს აკეთებდნენ. საზღვრავდნენ პერიოდებს, რომ მერე ქვეყანა და ჩვენი ერი, ხალხი, რა მიმართულებით და გეგმით უნდა წასულიყო.

ჩვენ ახლა მერწყულის პერიოდში ვცხოვრობთ, ქრისტესშემდგომ, ანუ თევზების პერიოდის შემდგომ ეპოქაში. მერწყულის პერიოდი 2060 წლის მერე დამთავრდება და როგორც გითხარით, ახლა დღის, სინათლის მატება დაიწყო ჩვენს ეპოქაში, მეტი ნათელი უნდა შემოვიდეს დედამიწაზე.

**— მეტი მზე მეტ სითბოს, გლობალურ დათბობას გულისხმობს თუ გონებრივ სინათლეს, მეტ სულიერ განათებას, სიკეთის და სიყვარულის თვალსაზრისით?**

12 გვ. →





ქართული ასომთავრული–ათვლის ეტალონი

# „თავად უშველე თავს, თუ შეგიძლია“

## რა ელოდება მსოფლიოს კორონავირუსის პანდემიის გადატანის შემდეგ?



ეკონომისტები რუსეთში ორწლიან რეცესიას პროგნოზირებენ, ხოლო პრეზიდენტმა ტრამპმა ამერიკისთვის ყველაზე რთული პერიოდის დასაწყისი გამოაცხადა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება რეცესიის არსის ახსნა. რეცესია ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის კლებას. ამ დროს იკლებს საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი, კომპანიები ათავისუფლებენ მუშახელს, ან უმცირებენ ხელფასს, ანდა ორივე ღონისძიებას ერთად ატარებენ. მწარმოებლები ამცირებენ ფასებს, რათა დაგროვილი სასაქონლო მარაგები დროულად გაყიდონ. როდესაც ამგვარ ტენდენცია მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ყველა ძირითად სფეროში შეინიშნება, ეს ნიშნავს, რომ სახეზეა გლობალური რეცესია. ექსპერტთა ვარაუდით,





იგივე ამერიკაში ბევრ პროფესიას სამუდამოდ თუ არა, კაი ხნით მივიწყება ემუქრება. ცნობილი ექსპერტის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტის ოლივიე ბლანშარის განცხადებით, სამყაროს ძალზე რთული და მძიმე დრო დაუდგება. რა ელოდება მსოფლიოს პანდემიის გადატანის შემდეგ? ბლანშარი მიიჩნევს, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია. ყველაზე რთულის ჯერ მხოლოდ მოლოდინია, რომლის ყველა შედეგის გამკლავებას წლები დაჭირდება. რომ დავბრუნდეთ ელემენტარულ ნორმებთანაც კი, იმაზე გაცილებით მეტი დრო დაგვჭირდება, ვიდრე ბევრი ფიქრობსო. ყოფილმა მაღალჩინოსანმა ფრანგმა მუსიე ბლანშარმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფალთ მოუწოდა, გახსნან საფულეები და ხალხის სიცოცხლე გადაარჩინონ. როგორ მოქმედებს უკვე კორონავირუსის პანდემია კონკრეტულად, ევროპის ყველაზე მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოს, გერმანიის ეკონომიკაზე, რომელიც საფრანგეთთან ერთად ევროკავშირის ხერხემალია? ინდუსტრიული ფლაგმანის ეკონომიკამ უკვე მიიღო დარტყმები და სერიოზული დანაკარგები ემუქრება, ექსპერტები, რომელთაც ვითარების დაძლევისა და ეკონომიკის განვითარების რამდენიმე სცენარი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას, თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, სწრაფად აღდგება. ხსენებულნი გერმანიის მთავრობასთან არსებული ეკონომიკის ექსპერტთა საბჭოს წევრები არიან, რომელსაც „ბრძენთა საბჭოსაც“ უწოდებენ. საბჭოს ამოცანა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ქვყნის მთავრობისთვის რეკომენდაციების მიცემაა.

ექსპერტთა პირველი სცენარს „ოპტიმისტური“ ჰქვია და ვარაუდობს, რომ გერმანიაში ბოლო კვირების განმავლობაში შემოღებული მრავალრიცხოვანი შემზღუდავი ზომები, დიდხანს არ გაგრძელდება და ქვეყანაში ვითარება ზაფხულის განმავლობაში ნორმალიზდება. ამ შემთხვევაში გერმანიის ეკონომიკური სიძლიერე 2020 წელს მხოლოდ 2,84%-ით შემცირდება, მომავალი წლისთვის კი, ქვეყნის შიდა პროდუქტის წარმოება, წინა წელთან შედარებით 3,7%-ით გაიზრდება. „პესიმისტური“ სცენარის მიხედვით, რომელიც წარმოების მასშტაბურ გაჩერებას ითვალისწინებს, შემზღუდავი ზომების გაგრძელებას და მომსახურების სფეროს გაყინვას აანონსებს. ამ შემთხვევაში, წელს შიდა წარმოების პროდუქტის კლება 5,4%-ს შეადგენს. „ბრძენთა“ მიერ აღწერილი მესამე ვარიანტი ვარაუდობს, რომ შეზღუდვები მთელი ზაფხულის განმავლობაში იმოქმედებს, მაგრამ გამორიცხავს წარმოებების გაჩერებას. ამასთან ერთად, სამი ექსპერტი განსაკუთრებით გამოყოფს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, დაფინანსების შესაძლებლობის გაუარესებას და გაურკვევლობის საერთო ზრდას, რაც ინვესტიციების შეკვეცით იმუქრება. ისინი ასევე აქცენტს აკეთებენ მომხმარებელთა პასიურობასა და შესაბამისი კონიუნქტურის კლებაზე. ეკონომისტთა აზრით, ასეთ შემთხვევაში გერმანიის შიდა პროდუქტი მიმდინარე წლისთვის 4,5%-ით დაიკლებს. სცენარის სამივე ვარიანტი ვარაუდობს, რომ გერმანია ეკონომიკური განვითარების მოცულობების უფრო შესამჩნევი კლების ზღვარზეა, ვიდრე 2008–2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს იყო, როდესაც გერმანიის შიდა პროდუქტი 5,7%-ით შემცირდა. ამას მოწმობს ის უსიხარულო, სევდიანი ინფორმაციები რიგი მიმდინარეობებიდან, მათ შორის, იქიდან, რომელიც უშუალოდ ქვეყნის კეთილდღეობას ეხება. ავტოსამშენებლო მრეწველობიდან არის ინფორმაცია, რომ დაიკეტა „ფოლკსვაგენის“, „დაიმლერის“, „ოპელის“ ქარხნები. რაც შეეხება „ფორდსა“ და „ბმვ“-ს, მათ გაავრცელეს ინფორმაცია ჭარბწარმოების შესახებ, რადგან დაეცა მათი პროდუქციის მოთხოვნის დონე, ამ ფონზე თანამშრომლების გათავისუფლების რეალობაზეც ისაუბრეს. ასე რომ, საფრთხის წინაშეა 100.000 სამუშაო ადგილი, რაც ავტომრეწველობაში დასაქმებულთა 12%-ია.

ცნობილ ამერიკულ მედიაგამოცემასთან კორონავირუსული იზოლაციონიზმის ლეტალურ საფრთხეზე ისაუბრა გერმანიის ექს-მინისტრმა, რომელმაც აშშ-ს შეთქმულების თეორიაში დასდო ბრალი. მისი აზრით, უკვე საეჭვოა ტრანსატლანტიკურ გაერთიანებაზე საუბარი. საერთოდაც, იშვიათად ყოფილა შემთხვევა, ასე აშკარად გამოჩენილიყო, როგორ ანაცვლებს ჩინეთი დასავლეთსო. ლიბერალების, მათ შორის ევროპელი ლიბერალების დამოკიდებულება ამერიკის პრეზიდენტის მიმართ, საყოველთაოდ ცნობილია. ვერაფრით პატიობენ დონალდ ტრამპს ტრადიციული ღირებულებების პატივისცემასა და დაცვას. ამ შემთხვევაშიც ვერ შეიკავეს თავი „ჰუმანისტმა“ ევროლიბერალებმა კბილი არ გაეკრათ აშშ-ის პრეზიდენტისთვის. ტრამპის პრეზიდენტობის დროს, ამერიკა არ მიისწრაფის სხვა ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობისკენ კორონავირუსზე გამარჯვების საქმეში, ამის გამო პანდემიის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა, ფრაგმენტული აღმოჩნდაო. მოკლედ, კორონავირუსმა უფრო აშკარად გამოაჩინა ამერიკა-ევროპის ყალბი სიამტკბილობა, ვიდრე ამერიკულ-ევროპულმა დავა-პაექრობამ ნატოს როლთან დაკავშირებით. პანდემიასთან დაკავშირებით ორივე მხარის დუმილი ცხადყოფს, რომ გაჭირვებით თუღა შეიძლება ტრანსატლანტიკურ ერთიანობაზე საერთოდ საუბარი. გაცილებით უარესი ისაა, რომ ამერიკამ მოქმედებაში მოიყვანა შეთქმულების თეორიაო. რაში გამოიხატება შეთქმულების თეორიის ამოქმედება, ევროპელები ასეთ ახსნას უძებნიან, თუკი ჩინეთი ამტკიცებს, რომ კორონავირუსი ამერიკულ სამხედრო ლაბორატორიებში იყო შექმნილი იმ დანიშნულებით — ხელი შეეშალათ ჩინეთის აღორძინებისთვის, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია კოვიდ-19-ს „ჩინურ ვირუსს“ უწოდებს, რითაც გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას აღვივებს. ამავდროულად ჩინეთი ცდილობს კრიზისის მიმდინარეობისას გამორჩეულად გამოჩნდეს, მძიმედ დაზარალებულ ქვეყნებისთვის დახმარების შეთავაზებითო. საინტერესოა, ვინ დაუშალა თვითონაც გაეწოდებინათ დახმარების ხელი დაზარალებულთათვის, როცა წუწუნებენ ამერიკა და ევროპა კი არ უწევს დღეს დახმარებას იტალიას, ესპანეთსა და აფრიკის ქვეყნებს, ჩინეთი გზავნის იქ ექიმთა რაზმებსა და სამედიცინო მასალებსო.

ამ ჩვენს ევროპელ „მეგობარ“-პარტნიორებს თითქმის არ ახსენდებათ შემთხვევა, ასე აშკარად გამოჩენილიყო, როგორ „ახევს“ ჩინეთი ევროპას გლობალურ ლიდერობას. დიდი რეცესიის დროს, რომელიც 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მოყვა, ჩინეთი არ იყო ასეთი ძლიერი, ხოლო ამერიკა ასეთი ეგოცენტრული (ეგოცენტრიზმი — ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა — მ.ს.). როდესაც ფინანსური ბაზრის სპეკულანტებმა საკუთარი თავიც და დანარჩენი მსოფლიოც ფაქტობრივად, უფსკრულში გადაჩეხეს, ძლიერი ეკონომიკის მქონე ოცი ქვეყნის ფინანსთა მინისტრები შეიკრიბნენ, რომ განეხილათ საპასუხო ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე დიდი ხანია გასული იმ ვირტუალური სამიტიდან, 10–11 წელი, „დიდ ოცეულს“ არ გამოუდის იგივე როლის თამაში. „კოვიდ-19“-ის გამოვლენამდე, აშშ-სა და ჩინეთს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა იყო ევროპის გლო-

12 გვ. →







# 2020 წლიდან მეტი სინათლე უნდა შემოვიდეს დედამიწაზე

10 გვ.

— ჩვენი მანათობელი პლანეტა — მზე პატარა წრეზე მოქმედებს, აქ საუბარია დიდ ასტრალურ მასშტაბებზე.

ჩვენი მზის სისტემა შედის ახალ ფაზაში, რაც, პირველ რიგში, ადამიანის ცნობიერების ცვლილებას გამოიწვევს.

მოხდება როგორც კლიმატის ცვლილება ისე ადამიანების გონებრივი ცვლილებანი.

ცვლილებები მოხდება მოლეკულურ დონეზე და ა.შ.

უკვე 2000 წლიდან საუბრობენ მსოფლიოს მეცნიერები და მკვლევარები, რომ წყალბადის ატომი უკვე შეიცვალა. სხვა რამეებიც უკვე განიცდის სხვაგვარ ფორმირებებს.

სხვა რეალობაში შევდივართ, ეს უნდა გავიცნობიეროთ და მომზადდებული ვიყოთ.

**— კორონა ვირუსი ამ ცვლილებეზე მიანიშნებს?**

— დიახ და დედამიწაზე კიდევ ბევრი კატაკლიზმები მოხდება.

კორონა ვირუსი, ასე ვთქვათ, სიმბოლური შემთხვევაა ბნელი ძალებისგან გამომდინარე, რომელიც, ცხადია, არ არის შემთხვევით გაჩენილი დაავადება. ეს არის შექმნილი, ხელოვნური, მუტირებული ვირუსი, რომელიც კვლავ განიცდის მუტაციას, ანუ სხვა ფორმებს მიიღებს, თუმცა, რაც უნდა ეცადოს ბნელმა ძალებმა, რომ დაჩრდილოს და დაჩაგროს კაცობრიობა მენტალურად და ფიზიკურად, დაავადოს, დააკაბალოს, მონად აქციოს ადამიანები, ამას ვეღარ მოახერხებენ.

სიმბოლურია, კორონა ვირუსი გავრცელდა ღამურადან, როგორც სისხლისმწოველი ვამპირისგან და როგორც ვამპირს ეშინია სინათლის, კორონა ვირუსსაც მზე და სითბო გაანადგურებს.

სინათლე მოსპობს სიბნელეს მთელ დედამიწაზე და ამ ვირუსსაც და მსგავს ვირუსებსაც ზედ მიაყოლებს.

**— აბა, მეორედ მოსვლა მოდისო, კატასტროფები იქნება და ადამიანები სახეს დაკარგავენო?**

— არა, პირიქით, სიკეთისკენ წავა კაცობრიობა. არაფერი არ გაუარესდება და არ განადგურდება.

წლეულს ცნობიერის პირველი სხივი უნდა შემოვიდეს. ასტრალური, ღვთიური სინათლის, რომელიც ადამიანს აბსოლუტურად სხვა საფეხურზე აიყვანს. ასე რომ, ბაქტერიები და ვირუსები არავითარი კატასტროფული მოვლენა არაა.

თქვენ გლობალური დათბობა ახსენეთ. დიახ, იქნება მოულოდნელობები, მაგრამ ეს არის ციკლური, რომელიც გაივლის.

კიდევ ვიმეორებ: ჩვენი წინაპრები იმიტომ აკეთებდნენ ამ გამოთვლებს, რომ სცოდნოდათ, როდის რის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ.

მაგალითად, გამყინვარების შემდეგ ცოტა რომ დათბა, ყინვა გალღვა და მიწა გამოჩნდა, კავკასიური ჰაპლოჯგუფის ხალხმა მიწათმოქმედება დაიწყო. ეს დამტკიცებულია მსოფლიოს მეცნიერების მიერ, რაც ნიშნავს, იმას, რომ ჩვენმა წინაპრებმა მაშინ უკვე იცოდნენ, რომ დგებოდა ბნელი და ძნელი ღამე, როცა ხორციელი გამოკვება იყო აუცილებელი და მოიფიქრა მიწათმოქმედების აღორძინება და გეორგიანელები დაგვერქვა მერე, ანუ მიწათმოქმედები. შემდეგ გვაღიარეს ღვინის სამშობლოდ, ხორბლის, თაფლის, ყველის სამშობლოდ და ა.შ.

როგორც გითხარით, ქრისტეს მოსვლაზეც გაგვაფრთხილეს ჩვენმა წინაპრებმა და გვითხრეს: მოვა ის პერიოდი, როცა უნდა იფიქროთ სულზე, სულიერზე და არა ხორცის გამოკვებაზეო.

ადამიანებმა უნდა ეცადონ, აიმაღლონ სულიერი და ინტელექტუალური დონე, რადგან ძნელია მიიღო ისეთი სიკეთე და სინათლე, რასაც ვერ გაიაზრებ. სულიერად კეთილი უნდა იყო — ზებუნებრივი სარგებლები რომ მიიღო, რომ აღიქვა და შემდეგ განავრცო.

ვისაც არ უნდა, სულიერად მდაბიო დარჩეს, უნდა ეცადოს მეტი სხივი და სინათლე შეუშვას გულში.

ახლა ის დროა, რომ სულიერებაზე უნდა იფიქროს ადამიანმა.

ქრისტეს პერიოდი გარდამავალი პერიოდი იყო. 2020 წელს დამთავრდა ბუნიობა და ასტრალურმა დღემ ზრდა დაიწყო. ქრისტემ კაცობრიობა შეამზადა ამ პერიოდისთვის და ახლა დგება დრო მოხდეს პირდაპირი კავშირები ზებუნებრივთან. მე არ ვიცი, ეს როგორ, რა ფორმებით მოხდება, მეორედ მოსვლა იქნება თუ სხვა რამე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადამიანთა მოდგმა ცნობიერების ახალ საფეხურზე გადადის, რაც უფრო მაღალი საფეხურია, იმასთან შედარებით, რომელზეც ახლა ვიმყოფებით.

დედამიწა არის ადგილი, სადაც ღვთის შექმნილი არსებები ცხოვრობენ, ეს ადამიანი შეიქმნა ღვთის სახედ და ხატად. მისი განმღრთობა არის მთავარი მიზანი. ამისთვის პერიოდები იყო საჭირო, რაც სამყაროში სულაც არაა ისე ხანგრძლივი, როგორც ჩვენ გვეჩვენება. სამყაროში დრო სხვანაირად ისაზღვრება.

ადამიანი კი, ქრისტეს სწავლებით, სულაც არ არის ის ღირებულება, რომელიც მხოლოდ უნდა ჭამდეს, დაბერდეს და მერე მიწაში გაიხრწნას, ადამიანი ღვთიური სულია, ღმერთის ნაწილია, ის უნდა მიუახლოვდეს, დაემსგავსოს ღმერთს, უნდა გახდეს ღმერთი და ეს მოხდება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „თავად უშველე თავს, თუ შეგიძლია“

11 გვ.

ბალური როლის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. აშკარაა, რომ „დიდი ორეულის“ სამყაროში, სადაც აშშ და ჩინეთი დომინირებენ, ევროპა მარგინალიზებული აღმოჩნდება, თუმცა თავად ევროპის აყვავება-გაფურჩქვნა, პირდაპირ კავშირშია გლობალური ბაზრების გახსნილობასთან. ევროპის გლობალური როლი იმაზეც იქნება დამოკიდებული, რამდენად გაუმკლავდება „კოვიდ-19“-ის კრიზისს. პანდემია ევროპულ ერთიანობას თითქმის უიმედო მდგომარეობამდე ასუსტებს და ამცრობს, ევროკავშირის ქმედებები ჯერჯერობით სრულად ვერ ამართლებს მოლოდინებს. რეალურად მხოლოდ ევროპის ცენტრალური ბანკი მოქმედებს, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა. როგორც ათი წლის წინანდელი კრიზისის დროს, ახლაც მის მიერ გატარებული პოლიტიკაა — პრინციპი „რაც არ უნდა დაგვიჯდეს“. ხსენებული ბანკი ვალუტის სტაბილურობას უჭერს მხარს და ევროზონის ქვეყნებს აუცილებელი ლიკვიდურობით უზრუნველყოფს. არც ევროკომისიას და არც ევროსაბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებ-



ში დღემდე მსგავსი არაფერი მოუმოქმედიათ. პირიქით, იტალიელებს ალბათ არასდროს დაავიწყდებათ, როგორ აკრძალა გერმანიამ სამედიცინო მასალების ექსპორტი იტალიაში, როცა ლომბარდიის მოსახლეობა უკვე მასობრივად იხოცებოდა.

ახლა ჩვენ მომსწრე ვართ იმ პოლიტიკის შედეგების, რასაც „მულტიიმპერიალიზმი კარგი ამინდის დროს“ ჰქვია, ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საქმიანობა ძალზე ადვილია, როცა ის არაფერი გიჯდება, ერთი სიტყვით, ხარჯი რომ არ გაქვს. გერმანელ პოლიტიკოსებს განსაკუთრებით ის უნდათ, რომ ევროპა ხონჩით მიართვან, როცა ყველაფერი კარგადაა, იმ დროს გერმანია ექსპორტის სფეროში ჩემპიონი იყოს, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ღია საზღვრებისა და თავისუფალი ვაჭრობიდან. აი, კრიზისის დროს კი, ყველას ზურგი შეაქციონ. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო ევროჯგუფმა შეთანხმება, რომელიც ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისგან შედგება, რომ იტალიასა და ესპანეთს ერთობლივად დახმარებოდნენ. მოკლედ, როგორც ჩანს, კოვიდ-19 არ არის ერთადერთი ინფექცია, რომელიც ევროპას ემუქრება, სანამ იტალია და ესპანეთი გაჭირვებით ცდილობენ პანდემიის შეჩერებას, ევროჯგუფი დაინფიცირდა ვირუსით, „ჩემი ქვეყანა უპირველეს ყოვლისა“, ამ „ვირუსით“ რამდენიმე წლის წინ, საბერძნეთის სასესხო კრიზისის დროსაც იყო „ბებერი“ ევროპა დასნებოვნებული. იდეა, რომ თითქოსდა ევროზონის დაზარალებული ქვეყნების დახმარება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს გამართლებული და მხარდაჭერილი, თუ ისინი მასშტაბურ რეფორმებს გაატარებენ, ყოვლად გაუგებარი, უფრო მეტიც უგუნური პოლიტიკური სისულელე აღმოჩნდა. მხოლოდ იმის იმედიღა დარჩა, რომ მთავრობათა მეთაურები უფრო ჭკვიანები აღმოჩნდებიან, ვიდრე მათი ფინანსთა მინისტრები, როგორც ეს 2015 წელს მოხდა. აღსანიშნავია, რომ ყველა გერმანელი ეკონომისტი, მათ შორის ისინიც, რომლებიც ტრადიციულად ვალების განსაზოგადოებრიობის (საზოგადოების საკუთრებად ქცევის) იდეის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, დღეს ასეთ რეკომენდაციბს აღარ გასცემენ.

იტალია და ესპანეთი ვერ შეძლებენ იმ ფინანსური ტვირთის ზიდვას, რაც კორონავირუსთან საბრძოლველად და ეკონომიკის სტაბილიზაზიისთვისაა საჭირო. ამას ჭირდება ევროზონის ყველა ქვეყანა, რათა გადანაწილდეს აუცილებელი საკრედიტო ტვირთი. კიდევ არის დრო, რომ ევროპამ კურსი შეიცვალოს, თან საერთაშორისო დონეზე. ლიბერალებისთვის კორონავირუსის კრიზისის ყველაზე სახიფათო შედეგი თურმე ის დასკვნა იქნება, რომ აშკარა გახდა, მოქალაქეებისთვის ერთადერთი დაცვა ეროვნული სახელმწიფო აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, კორონავირუსი მარტო ხალხს კი არა, უნიფიკაციის საერთაშორისო პროექტებსაც დაემუქრა, მათ შორის ევროკავშირს, რომელიც იმისთვის დაარსდა და დიდი ძალისხმევით ისე მოეწყო, რომ დასრულებულიყო საუკუნოვანი ომები კონტინენტზე. კონტინენტი მთლიანად ევრაზიას ნიშნავს, ვფიქრობ, ამ სიტყვების ავტორი დიდად არ წუხს აზიაში მიმდინარე დრამატულ მოვლენებზე. კითხვაზე, შეძლებს კი ევროპა გადაიტანოს ეს კრიზისი, შეინარჩუნოს ერთობა და დაიწყოს მისთვის მინიჭებული გლობალური როლის თამაში, პასუხი დამოკიდებული იქნება მის უნარზე, შესთავაზოს დამაჯერებელი ალტერნატივა დღევანდელ განწყობას, რომლის ლოზუნგიცაა, „თავად უშველე თავს, თუკი შეგიძლია“. ჩვენ ამ პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუკი თითოული ქვეყანა საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ევროპის მომავალზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ჩვენი საზოგადოება იმოძრაოს სწორი მიმართულებით წინ. რა თქმა უნდა ეს მოძრაობა ახლა გაურკვევლობაშია, ამისთვის გაბედულებაა საჭირო. ჩვენ არ შეგვიძლია ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, მაგრამ კოვიდ-19-ის კრიზისის გადაწყვეტის მცდელობისას, ევროპას შანსი მიეცა, ხელახლა აღმოაჩინოს თავისი თავი. ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათო, აცხადებენ ევროპელი გლობალიზმმადიდებელნი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# აქ, ევროპაში, უფრო მძაფრად ვგრძნობ, რომ საქართველო არამარტო დიდებული ქვეყანაა, არამედ ამ დიდებულ ქვეყანაში დიდებული ადამიანებიც ცხოვრობენ



ერთ-ერთი ევროპული ქვეყნიდან ერთი ქართველი ემიგრანტი დაგვიკავშირდა და ასეთი რამ გვიამბო:

„— ხშირად ისმის შეკითხვა: რატომ იხოცებიან ასეთი დიდი რაოდენობით ადამიანები ისეთ სახელმწიფოებში, რომლებსაც უზარმაზარი რესურსები აქვთ, როგორც ეკონომიკის, ასევე სამედიცინო ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

რატომ არის ასეთი დიდი მასშტაბების მსხვერპლი ამ ქვეყნებში და რატომ არის გაცილებით ნაკლები სიკვდილიანობა ვთქვათ და, საქართველოში?

თავიდანვე მინდა განვაცხადო: იმას, რასაც ახლა ვიტყვი, არ აქვს უტყუარი მტკიცებულების ხასიათი. ეს უფრო ჩემი ვარაუდები, ჩემი ვერსიებია, გნებავთ ეჭვებია, რომლებიც აქ ყოფნის პერიოდში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისას ჩამომიყალიბდა.

კორონავირუსი, მოგეხსენებათ, ხანდაზმულ, 70 წელს გადაცილებულ ადამიანებს უფრო ადვილად ერევა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტორი ვიღაც-ვიღაცებმა სახელმწიფოს ზედმეტი ბარგისა და ტვირთისგან გასანთავისუფლებლად გამოიყენეს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ კატეგორიის ადამიანების რჩენა სახელმწიფოს უზარმაზარი თანხები უჯდება.

რაც უფრო ნაკლები საპენსიო ასაკის ადამიანია ქვეყანაში, მით უფრო დიდია დანაზოგი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

რატომ უნდა გავუშვათ ხელიდან ეს შანსი და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ კორონავირუსი როგორც მწმენდავი, როგორც ხანდაზმულთა მრავალრიცხოვანი არმიის გამომხშირველი და რატომ არ უნდა დავზოგოთ ამით მილიარდები?

ევროპულ ქვეყნებში ბოლო ხანებში გამკაცრდა ზომები კორონავირუსის წინააღმდეგ, თორემ მანამდე პროცესები, ფაქტობრივად, თავის ნებაზე იყო მიშვებული და კორონაც დაუნდობლად ცელავდა და ცელავდა ასაკოვან ადამიანთა რიგებს.

მართალია, მოწოდება „დარჩი სახლში“ მაშინაც მოქმედებდა, მაგრამ შინ დარჩენილებს ფაქტობრივად არავინ აკითხავდა.

ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება და შინ დარჩენილები ხშირ შემთხვევაში სწორედ არასაკმარისი სამედიცინო დახმარების გამო იღუპებიან.

— დარჩი სახლში და მოკვდი — ასეც შეიძლება ეს ლოზუნგი გავიგოთ.

— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელიო — კი ვიმეორებთ ხშირხშირად, მაგრამ ქართველები ევროპელებისგან მენტალურად რადიკალურად განსხვავებული ხალხი ვართ.

განსხვავებულია ჩვენი დამოკიდებულება თუნდაც მშობლების და ზოგადად ასაკოვანი ადამიანების მიმართ.

ქართული საზოგადოების ურთიერთობის ნორმები ტრადიციულად უფროს-უმცროსობის დაუწერელ კანონებზე იყო დაფუძნებული. ეს ტრადიცია ხასიათში გვაქვს გამჯდარი და დღემდე მოგვყვება.

დღემდე მოგვყვება ასევე ხანდაზმულ მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება.

ჩვენში სათაკილო საქმედ ითვლება, როცა შვილს მოხუცი დედმამა მოხუცთა თავშესაფარში მიჰყავს, ევროპაში კი ეს ჩვეულებრივი ამბავია.

საქართველოში თაობათა შორის დამოკიდებულება, მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება სხვანაირ მიზიდულობასა და მიჯაჭვულობაზეა აგებული, ევროპაში ეს დამოკიდებულება ნაკლებ სენტიმენტალურია.

ბორის ჯონსონმა, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა, ინგლისელებს პირდაპირ მოუწოდა, არ იურთიერთოთ ხანდაზმულ ადამიანებთანო.

როცა მას ჰკითხეს — დედათქვენს რომ შეეყაროს ეს ვირუსი, რას იზამთო?

— მე მას აქიდან ყველა საუკეთესო სურვილს შევუთვლიო — უპასუხა ჯონსონმა.

ქართველი კაცი არც ამის თქმას იკადრებს და არც იმას, რომ განსაცდელში ჩავარდნილი დედა არ ინახულოს.

როგორც ჩანს, ამ მენტალურმა თვისებებმაც ითამაშა საბედისწერო როლი ევროპულ ქვეყნებში.

ჩვენთან, საქართველოში, ქართველი ექიმები, თან ჰყვებიან პაციენტს, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი.

ახლახან 81 წლის ქალბატონი დაეღუპათ და ლამის ეროვნული გლოვა გამოაცხადეს.

ავადმყოფების მიმართ სხვანაირი სიყვარული და ზრუნვა იგრძნობა ჩვენი ექიმების საქმიანობაში.

არა მარტო ექიმები, თვითონ საზოგადოებაც სხვანაირი გახდა ამ გაჭირვების ჟამს — უფრო თბილი, უფრო ლმობიერი, უფრო ყურადღებიანი.

აქ, ევროპაში კი, როგორც კი სერიოზული პრობლემები შეიქმნა, ემიგრანტების დევნა და შევიწროება დაიწყეს.

საქართველოში ჯერჯერობით არავის უთქვამს და დარწმუნებული ვარ, არც არასდროს ითქმება: გვჭირს ჩვენ და დატოვონ საქართველო ირანელებმა, ჩინელებმა, თურქებმა თუ რუსებმაო.

სხვა დროსაც, ისტორიულად, ბევრი გაჭირვება გვინახავს, მაგრამ არავინ გაგვიგდია ქვეყნიდან.

პირიქით, ლუკმა-პური გაგვიყვია, რითაც შეგვეძლო, დავხმარებივართ და გვერდში ამოვდგომივართ ყველას.

ჩვენ, ქართველებს, არამარტო დიდებული ქვეყანა გვაქვს, არამედ ამ დიდებულ ქვეყანაში დიდებული ადამიანებიც ცხოვრობენ.

აქ, უცხოობაში, განსაკუთრებული სიმძაფრით ვგრძნობ ამას და თუ აქიდან გავაღწევ, პირობა მაქვს დადებული — საქართველოს არასოდეს არ დავტოვებ!“

აი, ასეთი საუბარი შედგა ჩვენსა და ჩვენს ქართველ თანამემამულეს შორის.

მალე დაბრუნება ვუსურვოთ მას და ყველა ქართველს შორიდან სხვანაირი ხიბლით დანახულ სამშობლოში...

საუბარი ჩაიწერა
**დავით ქავთარიამ**





# საწყალი „ჭუტალა“ - „კორონა“ ჰყავს ცოლად!

გაგვიმართლა პირდაპირ.

არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ჩვენნაირი „პრადვინუტები“, ჩვენნაირი “სვეცკები“ და გამოსული ტიპები.

გვარამია ხომ არის მოსიარული „კრიკ მოდი“, ხელებს რომ პარჭყავს ჩინური ქათმის “პრიჩოსკით“ და ბავშვის შარვლით, რომელმაც რაღაცა ვერ შეიკავა და საცვალი გაავსო. ხომ გვეძახის ჩამორჩენილებს „გაბუსთან“ ერთად. ხომ გვყავს, როგორც თავის თავს უწოდებს, „საყოველთაო ეროვნული ბოზი“ თინა მახარაძე, ხომ „გვეამაყება“, ჩემო ბატონო, ვიღაც ნინა სუბლატი, ხოდა, ამათი თავი და თავი არის „ჩვენი“ „ჩერგო“, თამარ ჩერგოლეიშვილი, ხალხმა რომ „ჭუტალა“ შეარქვა, იმ გიგა ბოკერიას თანამეცხედრე და მეორე ნახევარი.

უყვარს „ჩერგოს“ პირველობა და კაცმა არ იცის, გიგაა მაგათთან პირველი ნახევარი თუ თავად „ჩერგო“.

ანეგდოტის არ იყოს, თუთიყუში რომ ეუბნება პატრონს, ხან ერთი რომა ხართ ზევით და ხან მეორე, ეს პოზა ვიცი, მაგრამ ორივე ზემოთ, როგორ ხართ, ის დამანახეთ და მერე მომკალით თუ გინდათო — „ჩერგოს“ და „ჭუტალას“ საქმეც ასეა, მაგრამ ამაზე ნუ ვიდარდებთ ჩვენ, საკითხი იმაშია, რომ ეს გამხმარი ტარანას წონა, რატომღაც ყოველთვის აგრესიულად დაუკმაყოფილებელი „ჩერგო“, „ჭუტალას ცოლი“, გამოვარდნილა ფეისბუკზე და უთქვამს: კორონავირუსი რომ დამემართოს, მარინა ეზუგბაიასთან არ წამიყვანოთ, ეგ ქალი უცოდინარიაო.

რაც ჩერგოლეიშვილის სახელი მსმენია და რაც ეს ქალი დამინახავს, ყოველთვის ჩხუბობს, დამცინავად ლაპარაკობს და სხვას ჭკუას ასწავლის. სხვანაირი „ჩერგო“ თუ გახსოვთ, დედას გაფიცებთ?! რა ცოდნა აქვს ასეთი, რა განათლება, მაგის გაკეთებული საქმე ვის უნახავს, რაში გამოადგა ან თვითონ, ან მისი ქმარი ჩვენს ქვეყანას, მაღლიდან რომ გვიყურებენ, მუდმივად რომ ჭკუას გვასწავლიან და თან გვაყვედრიან, რომ თითქოს ჩვენ არ ვარგივართ და ესენი არიან საუკეთესოები.

რა უფლებით გვასწავლის ჭკუას ჩერგოლეიშვილი და რატომ აკნინებს ქალბატონი მარინა ეზუგბაიას სამედიცინო კომპეტენციას? შეიძლება ჩერგოლეიშვილი სექსში იყოს კომპეტენტური, მაგრამ მედიცინაში რა გაეგება იმდენი, ქალბატონ მარინას პროფესიონალიზმი დაუწუნოს? კარგი, ვთქვათ, და, მედიცინაში ერკვევა, მაგრამ ამასწინათ პოლიტიკოსებს ეპაექრებოდა, ცხადია, პოლიტიკურ თემებზე. ყველაფერი როგორ იცით, თამარ, შენ და შენმა „ჭუტალამ“?!

გამოფხიზლდი, გენაცვა, ხალხსაც გვესმის რაღაც და ვიცით, რომ ნერვებზე უფრო შეიძლება გახდე სამკურნალო, ვიდრე კორონა ვირუსზე, რადგან, თქვენდა სამწუხაროდ, თქვენნაირების მიერ ჩასარეცხად გამზადებულმა ქართველმა ექიმებმა და თქვენ მიერ მტრად გამოცხადებულმა ბიძინა ივანიშვილმა და გახარიას მთავრობამ, იმდენი გააკეთეს, რომ დაცული ხართ გარეგანი ზემოქმედებებისგან, შინაგანმა შხამმა არ მოგწამლოთ, ამაზე გაფრთხილდით.

ისე, მე თუ მკითხავთ, ჩერგოლეიშვილს კორონა ვირუსი არ დაემართება, რატომ და, თუ კორონა ვირუსს კონსტრუირებული ფიზიკური სახით წარმოვიდგენთ, ძალიან ემსგავსება „ჩერგოს“. ჩერგოლეიშვილი თავად გახლავთ კორონა, მაგას კორონა ვირუსი ისედაც არ შეხვდება.

კი, ბატონო, მაგარი „სვეცკების“ გარემოცვაში ვცხოვრობთ, აქეთ ნიკუტა, იქით — „გაბუ“, „საყოველთაო ბოზი“ და მრავალი სხვანი, მაგრამ უნდა გამოვტყდე: „ჩერგო“ მომწონს აი, იმ დროს მიშას რომ „დაუბაბანებს“ ხოლმე. დაუნდობელია, რა, სააკაშვილის მიმართ. ეს გამოსდის ყველაზე კარგად და ხანდახან მინდა შევძახო: მიდი, „ჩერგო“! თუმცა მერე გამოკრიახდება და დააბრეხვებს სიგიჟეს. საშველი არაა ამათგან.

გიგა ბოკერია რომ შეგეცოდება კაცს — საწყალი „ჭუტალა“ „კორონა“ ჰყავს ცოლად!...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბილ გეიტსი, კაცი, რომელსაც სურს შეცვალოს მსოფლიო

რამოდენიმე დღის წინ ინტერნეტ სივრცეში ასეთი შინაარსის განცხადება გავრცელდა – „გაავრცელეთ!!! ყურადღებით წაიკითხეთ. ჩვენ გვიპირებენ საყოველთაო ვაქცინაციას. სითხესთან ერთად ჩვენს სისხლში შეიყვანენ ნანო ელემენტებს, რომლის მოშორებაც შეუძლებელი იქნება. სწორედ ამ ნაწილაკების მეშვეობით 5G ინტერნეტის გამოყენებით მოახდენენ ჩვენს კონტროლს. ვინც აიცრება, მიიღებეს ციფრულ სერტიფიკატს, რომლის გარეშეც პრობლემები შეექმნებათ ყველა სფეროში. ბილ გეითსმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ გამოყენებული იქნება ციფრული სერტიფიკატები „იმის განსაზღვრისათვის, ვინც მიიღებს covid–19-ის საწინაამლდეგო ვაქცინას.



ამ სერთიფიკატით განისაზღვრება ვის ექნება ბიზნესის სფეროში მოღვაწეობის უფლება და ვის არა. ამ გეგმას უკვე აქვს მხარდაჭერა ისეთი დიდი ორგანიზაციისგან, როგორიც ID2020 ია. რამდენიმე წლის განმავლობაში ბილ გეითსი იკვლევდა პანდემიისა და მასიური აცრების შესაძლებლობას. 2019 წლის ოქტომბერში ბილ გეითსა და მილენდა გეითსის ფონდმა მსოფლიო ეკონომიკურ ფონდთან ერთად ჩაატარეს ღონისძიება ეძღვნებოდა ახალ კორონა ვირუსს, რომელიც მოკლავდა მილიონობით ადამიანს. 8 კვირის შემდეგ კი ვირუსმა დაიწყო გავრცელება ჩინეთში.“

ბილ გეიტსი და მისი მეუღლე მელინდა გეიტსი კორონა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებენ და კორონას „წინააღმდეგ“ კიდევ 100 მილიონს გადარიცხავენ. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გეიტსმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ, ექვს მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ფილანთროპიული პროექტი დააფინანსა, ისეთ ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად, როგორიცაა ჩუტყვავილა, C ჰეპატიტი, როტავირუსი, შიდსი... აღნიშნულ პერიოდში გეიტსი თავშეკავებულად საუბრობდა ინდოეთსა თუ აფრიკაში ნანახ ბავშვებზე: „მე და მელინდამ საკმაო დრო გავატარეთ ამ ბავშვებთან ერთად, ვუყურებდით მათ ტანჯვას: ისინი კვდებოდნენ“. მაგრამ როგორც კი იგი ციფრებს მიადგება, მეტყველების მანერაც მაშინვე ეცვლება: ციფრების ზრდასთან ერთად, იზრდება საუბრის სიჩქარე და ტონალობა. „23-ცენტიანი ვაქცინა“, – ამბობდა გეიტსი, – „და შენ აღარასოდეს დაგემართება ჩუტყვავილა – დაავადება, რომელიც ყოველ წელს მილიონ-ნახევარ ადამიანს კლავდა. დღეისთვის კი გარდაცვლილთა რაოდენობა 300 ათასამდე შემცირდა”. საინტერესოა, რომ უმდიდრესი ადამიანი მთელ თავის ენერგიას ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ მიმართავს. იმედი გამიცრუვდება, თუ მომდევნო 25 წელიწადში 80%-ით ვერ შევამცირებ სიკვდილიანობას“, – ამბობდა მილიარდერი, ბილ გეიტსი დაავადების აღმოფხვრას გაბედული კონცეფციით გეგმავდა, ეჭვი შეჰქონდა ტომას მალთუსის დემოგრაფიულ თეორიაში, რომელიც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დომინირებდა. მალთუსის თეორიის მიხედვით, პლანეტის მოსახლეობის ზრდა გარდაუვალია, ხოლო ამ მატების თანამდევი ეფექტი სიღარიბის ზრდაა. ბილ და მელინდა გეიტსები ამ კონცეფციაზე 1993 წლიდან ფიქრობდნენ, ჯერ კიდევ ფონდის დაარსებამდე. დაქორწინებამდე ერთი თვით ადრე ისინი აფრიკაში იყვნენ, საფარიზე, უნდოდათ ფაუნას დაკვირვებოდნენ. „შენ მიდიხარ ცხოველების საყურებლად, მიდიხარ სავანის სანახავად – ეს სასწაულია“, – იხსენებს მელინდა. თუმცა ამის სანაცვლოდ წყვილი კლასიკური მალთუსიანური ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: „რატომ დადის ის ქალი ბავშვით მუცელში, კიდევ ერთი ბავშვით ზურგზე და ტომრებით თავზე?“ გეიტსებს არ გააჩნდათ 200-წლიანი დოგმის დაუყოვნებლივ უარყოფის მიზეზი. „ჩვენ ვიცით, თუ როგორ დავეხმაროთ სოფლის მეურნეობას, მაგრამ არა ამხელა მასშტაბებით“, – ამბობს ბილი.– „უმუშევრობა, არასტაბილური მდგომარეობა, განათლების სისტემა და მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ პრობლემის გადაჭრას კიდევ უფრო ართულებს“. ამგვარად, 1997 წელს, როდესაც ბილი და მელინდა პირველად ჩაებნენ ჯანდაცვის საკითხების მოგვარებაში (მათივე სახელობის ფონდი ორი წლით გვიან შეიქმნა) პირველი მიზანი იყო შობადობის პრობლემის მოგვარება და ჯონ ჰოპკინსის მცდელობის – განვითარებად ქვეყნებში კომპიუტერის მეშვეობით კონტრაცეფციის შესახებ ქალთა ინფორმირების – დაფინანსება. ლოგიკა ნოვატორული იყო – ისეთი, ბილ გეიტსს რომ შეეფერება. ჯანდაცვა = რესურსები ადამიანები. და რადგან რესურსები, როგორც გეიტსმა სწორად შეაფასა, შეზღუდულია, ამოცანის ამოხსნის პროცესი მოსახლეობის კონტროლზე გადის. ამდენად, მხოლოდ ვაქცინაცია გეიტსს უაზროდ მიაჩნდა: „რა აზრი აქვს ბავშვის ვაქცინით გადარჩენას მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, სადაც შიმშილი და სამოქალაქო ომი მძვინვარებს?!“ ეს ძალზე წააგავდა გეიტსის მიერ შემუშავებულ მრავალმილიარდიან საგანმანათლებლო რეფორმის ფორმულას, სადაც შემდეგი განლაგება იყო: წარმატება=პედაგოგები სტუდენტები. მცირე ზომის კლასებში პედაგოგები გაცილებით მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ მოსწავლეებს და მეტი ნიჭიერი ბავშვი გამოიჩენდა თავს. საზოგადოების ჯანდაცვის პრობლემებზე ზრუნვა გეიტსის ოჯახმა ადრე დაიწყო. ბილის მამამ „მართებულ სამედიცინო ტექნოლოგიათა პროგრამის” (PATH) წარმომადგენელთათვის ვახშამი მოაწყო სიეტლის უმდიდრეს Columbia Tower Club-ში, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა შობადობის თემაზე ითათბირეს. სხვა საკითხებთან ერთად PATH-ში განიხილეს, თუ როგორ ესწავლებინათ პრეზერვატივის ჩინელი მწარმოებლებისათვის ბაზარზე გატანამდე საქონლის ტესტირება. გეიტსი განაცვიფრა მისთვის აქამდე უცნობმა სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომელთა მიხედვით, როდესაც სიკვდილიანობა ეცემა, თურმე შობადობაც კლებულობს და დემოგრაფიული პრობლემები სტაბილურდება. „ყველაფერი საღი აზრის წინააღმდეგ ხდება. მშობლების უმეტესობას დიდი ოჯახის ყოლის სურვილის გამო კი არ უნდა მერვე შვილის გაჩენა, არამედ იმიტომ, რომ წინასწარ



იცის – ბევრი შვილი მოუკვდება. როდესაც მშობელმა იცის, რომ მისი შვილი გაიზრდება და იცხოვრებს, მას ბუნებრივად ეკარგება ბევრი შვილის გაჩენის სურვილი“, – ამბობდა მელინდა. მას კლინიკებსა და ექიმებზე კონცენტრირება შეეძლო, მაგრამ სხვა გზა აირჩია. „ჯადოსნური იარაღი ჯანდაცვაში ინტერვენციისთვის არის ვაქცინა, რომლის წარმოებაც შეიძლება იაფი იყოს. თუმცა ჩვენ ვიცოდით, ამისთვის მხოლოდ ფული არ არის საკმარისი. აგრეთვე საჭიროა დრო, ენერგია, ლობი“, – ამბობს ბილი. მელინდა, ყველა ფილანთროპიულ წამოწყებაში გეიტსის განუყრელი თანაშემწე, იქვე ამატებს: „რისი დაფინანსებით მიიღებთ ყველაზე დიდ შედეგს? სათანადო ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში, რა სფეროში ინვესტირებით შეგიძლიათ იხსნათ ყველაზე მეტი სიცოცხლე?“ გეიტსმა ტოლი არ დაუდო თვით ჯონ დ. როკფელერსაც, რომელმაც „როკფელერის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის“ წყალობით საუკუნის ვირუსოლოგიაში ბევრ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას შეუწყო ხელი. გეიტსმა შეცვალა კაცობრიობის მიდგომა ვაქცინაციისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ არაპოპულარული იყო აუტიზმის შიშის გამო. ეს შიში დღეისათვის სრულიად გაქარწყლებულია. გეიტსის პირველი შენატანი ვაქცინაციის პროექტში შეადგენდა 100 მილიონ აშშ დოლარს – თანხა გადაეცა გაეროს, პროექტს PATH-ი ხელმძღვანელობდა. პირველი პროექტი ითვალისწინებდა ბავშვების ვაქცინაციას. ამ ძღვენის გაცემის აღსანიშნავად ბილმა და მელინდამ წვეულება გამართეს ვაშინგტონის ტბასთან 66 ათას კვ.მ ფართობზე აშენებულ სახლში. წვეულებაზე ვაქცინაციის ცნობილი ექსპერტები იყვნენ მოწვეული. როდესაც გეიტსმა კითხვით მიმართა თავის სტუმრებს: „რას გააკეთებდით, მეტი ფული რომ გქონდეთ?“ დარბაზი ახალი იდეებით გაიჟღინთა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბილმა მნიშვნელოვნად გაეზარდა ქველმოქმედებისთვის დახარჯული თანხა და 1999 წელს 21 მილიარდი აშშ დოლარის დეპოზიტით მსოფლიოში ყველაზე დიდი საქველმოქმედო ფონდი – ბილ და მელინდა გეიტსების სახელობის ფონდი შექმნა. ვაქცინაციის „სასწაულმოქმედმა პროექტმა“ მრავალი ახალი თავსატეხი გააჩინა. გეიტსი ბავშვების გადარჩენას კვლევების წახალისებით ცდილობდა. იგი გადაწვდა მენინგიტისა და მალარიის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროექტებსაც. ამავდროულად, განვითარებად ქვეყნებში ვაქცინის ეფექტიანობის შესანარჩუნებლად შექმნა ე.წ. „მაცივრის ქსელი“ – ვაქცინის სათანადო პირობებში შენახვისა და დისტრიბუციისათვის.



1999 წელს, გამოსავლის საპოვნელად, ბილ გეიტსი იტალიის ქალაქ ბელაჯიოს ეწვია, Unicef-თან, მსოფლიო ბანკთან, გაეროსთან, სხვადასხვა ფარმაკოლოგიურ და ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან ერთად. ვიზიტი ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის (GAVI Alliance) ჩამოყალიბებით დასრულდა. ალიანსის საძირკველში გეიტსმა 2,5 მილიარდი აშშ დოლარი ჩაატანა, რითაც აშშ-ის ანტიმონოპოლიურ რეგულატორებს, შიშის ზარი დასცა. „ბილი წააგავდა პოკერის მოთამაშეს, რომელიც მაგიდაზე იმხელა ფსონს ჩამოვიდა, რომ გარშემო ყველა დააფრთხო“, – ამბობდა სეტ ბერკლი.

გეიტსის როლი თანდათან იზრდება. მის მიერ შექმნილი სისტემის გამართული მუშაობისათვის ბილს ჯანდაცვის მსოფლიო ელჩის როლის შესრულება უწევს.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# ჯუნიორ პაპანდოპულო

## ნამდვილი ნოველა

მას შემდეგ, რაც კორონა ჩვენს წინააღმდეგაც გაავდა, ჯუნიორს თვალზე რული აღარ მიეკარებია. არა, ხან თითქოს სძინავს, მაგრამ სინამდვილეში არ სძინავს, მამულზე ფიქრმა გულ-ღვიძლი ჯერ გაუსივა, შემდეგ კი დაუსერა. ათასნაირი პროექტი უტრიალებს თავში – ციფრები, ტესტები, ფული, თვითმფრინავები. მთავრობას კი მიმართა არაერთხელ, მაგრამ რათ გინდათ? ყველამ დაიკიდა!

ჯუნიორი დარწმუნებულია, რომ ახლა გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია, ყველა რომ დადუმდეს, ყველამ რომ ხმა ჩაიწყვიტოს, ის ვერ დადუმდება, ქვეყნის მოსახლეობას ამ ხელისუფლების ამარა ვერ მიატოვებს, ვერ ენდობა. ინფექციონისტი პაატა იმნაძე გამოვიდა ტელევიზორში და ყველამ თავის საქმეს მიხედოსო. ექიმმა ამირან გამყრელიძემ თქვა, ძალიან





მომწონს ჯუნიორი, ხან ჭკვიანურ რაღაცებს ლაპარაკობს, ენერგიული ტიპია, მაგრამ კორონას საკითხში ვერ ერკვევაო. არადა, ყველაფერი პირიქითაა... როგორც დიდი ვასო სოფოკლე კი არა და... როგორც ვასო სოფრომაძე აცხადებს, ესენი გაგებაში არ არიან.

ჯუნიორი არ დათმობს, ეგღა აკლია, საკუთარი დედულ-მამული შემთხვევით ადამიანებს მიუგდოს საჯიჯგნად და საკუთარი მოსახლეობის ბედი სასწორზე შეაგდოს. არა და ვერა... ვერა და არა!

ტელეფონის ზარი: „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალიიიი, მე გული მტკივა, მომეც წამალიიიიი"!

ჯუნიორი მობილურს დასწვდა. არ აპირებდა, ვინმესთვის ეპასუხა, მაგრამ გულში გაჰკენწლა, ეგებ და პრემიერი გახარიააო? გრიგოლი რეკავდა, ფართე ვაშაძე. უნდა უპასუხოს, ბოლო-ბოლო, ერთი გვარ-ტომისანი არიან.

– ჰო, გრიგოლ, რას შვრები, დაკავდი ისევ ბალეტით? – მიახალა ჯუნიორმა ეგრევე თანამოგვარეს.

– რა ბალეტი, ბიჭო, მაგ სფეროში დისტანციურობა ვის გაუგონია?! – მიუგო გრიგოლმა და ტელეფონში თავისებურად ჩაიხვიხვინა.

– ა, ჰო, ეგ სულ დამავიწყდა.

– რა ქნა ხელისუფლებამ, ბოლო-ბოლო, დაგაფასა?

– კი არ დამაფასა, დამაფსა!

– ეგრეც ვიცოდი!

– ბიჭო, ვეუბნები, ტესტებს და პირბადეებს იაფად გაშოვნინებთ-მეთქი და არაო, ჩვენ თვითონ ვიშოვითო!

– კი, მაგრამ მაგათ სად უნდა იშოვონ, ვის იცნობენ?

– აი, ამაშია საქმე!

– შეეშვი, თუ ძმა ხარ, კისრებს რო წეიტეხენ, მერე ვიცინოთ შორიდან, დისტანციურად.

– არა, ძმაო, ჩემ ხალხს ეგრე ვერ გავწირავ, თავი უკვე შიგნიდან მეფხანება და ჩემი მეორე „მე" ჩამძახის, მიდი, ჯუნიორ, მიდიო! – აყვირდა ჯუნიორი.

– კაი, დამშვიდდი, ჩვენ ვიცით, რომ დიდი მამულიშვილი ხარ!

– მერე რაში იყენებს ეს ფსევდო ხელისუფლება ჩემს მამულიშვილობას?!

– პაწა კიდევ მოითმინე, მოვალთ ოქტომბერში და დავაფასებთ.

– ჰოპ, მანამდე კი ჩაივლის ყველაფერი!

– შენა და... იცი, რაზე გირეკავ?

– რაზე?

– ბიჭო, ლექსი დავწერე და...

– რა ლექსი?

– აქტუალურ თემაზეა, კორონას ეხება, უფრო სწორად, დისტანციას, წაგიკითხო?

– მიდი, წამიკითხე.

– ესე იგი... გამარჯობა, ციური, ნუ იქნები ტყიური, იყავი ეკლესიური, ღვთიური, ამავე დროს – ელასტიური და დისტანციური. არ დაიდარდო, ციური, მალე ჩამოვა გიული და იქნება წრიული. პატივისცემით, იური.

– აუუუ... ძაან მაგარია!

– მართლა?

– მიმიქარავს ჯეკ ლონდონი!

– კაი, რააა!

– გრიგოლ, ადრეც გითხარი, შეეშვი პოლიტიკას და პოეზიას მიაწექი ბოლომდე. სხვათა შორის, მეც დავწერე ლექსი.

– აუუუ... წამიკითხე, რა!

– გამარჯობა, ჯემალი... წელს უცნაურად აყვავდა ალუჩა და ტყემალი... გუშინწინ მოულოდნელად, „ჩაინიკს" ასძვრა ემალი.

– ნუ, გეენიოსი ხარ, რააა, შენს პოეზიაში რითმათა ზეიმია!

– ეეჰ, ვინ გაფასებს, ძმაო?

– ჩვენ დაგაფასებთ-მეთქი, ოღონდ შემოდგომაზე... ისე, ვფიქრობ, ჩვენ უკვე გვჭირდება ფესვდონიმები, შენც ვაშაძე ხარ, მეც ვაშაძე, შეიძლება მოსახლეობას ერთმანეთში ავერიოთ. აი, როგორც გალაკტიონი და ტიციანი ერევათ ხოლმე, ორი ტაბიძე.

– არის სიმართლის მარცვალი მაგ ამბავში... არ დაგიმალავ და მაგაზე უკვე ვიფიქრე, ჯუნიორ პაპანდოპულო როგორ მოგწონს?

– რათა პაპანდოპულო, ბერძენი ხარ?

– არა, კარგადა ჟღერს... აბა, წარმოიდგინე, ტელევიზიით რო გააჟღერებენ: პოეტი და პოლიტიკოსი, ან პოლიტიკოსი და პოეტი ჯუნიორ პაპანდოპულოოოო!

– მაგარია, გენიოსი ხარ!

– ისე, შენი ამბავი რო ვიცი, შენც აუცილებლად გექნება რამე მოფიქრებული, ტყუილად არ ჩამომიგდებდი მაგ თემაზე სიტყვას.

– ნუ, როგორ გითხრა...

– მიდი, რა, ნუ გერიდება!

– ნუ, ბევრი ვიფიქრე და... გრიგოლ გრიგალი წავა?

– ოჰ, შენ გენაცვალე, გრიგალივით კაცი ხარ და სწორედაც რომ ზედგამოჭრილია!

– მადლობა, ჩემო ჯუნიორ.

– ბიჭო, ერთი საიდუმლოც უნდა გაგანდო... წუხელ დავით ალმაშენებელი მესიზმრა.

– ვააა, რა მინდაო, პატივცემულმა დავითმა?

– რა მინდაო და... ჩემო ჯუნიორ, ერთი შენ დამრჩი ბედკრულ საქართველოში ერთგული კაცი, მიხედე ქვეყანას, თორემ ეგენი არაფრის გამკეთებლები არ არიანო. თუ გინდაო, ტესტებს გამოგიგზავნი 10 დოლარში, ოღონდ არ გამცე, ვითომ ჩინეთის ყოფილმა იმპერატორმა ცინ სიხუანდიმ გადმოგცა საკუთარი ხელითო.

– და... როდის გამოგიგზავნიო?

– ამ დღეებშიო, მალეო, ოღონდ გახარიას მოელაპარაკე, საშარო არ გახდესო, სიხუანდის ვერ გადავაგდებო.

– ჰო, ვიცი, სიხუანდი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, საერთაშორისო ურთიერთობებს თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

– თუმცა აქ ერთი პრობლემაა, როგორც სახელისუფლებო წრეებიდან გამოჟონა, ხო იცი, მე ყველგან მყავს ხალხი, ამათ ჩინეთის ერთ-ერთი ყოფილი იმპერატორი გამოუძებნიათ, ჯაო კუანინი, რომელიც ტესტებს თურმე 5 დოლარში იძლევა. ხაზგასმით უთქვამს, ამას პირბადეებსა და ტუალეტის ქაღალდს საჩუქრად მოვაყოლებო. წარმოგიდგენია?!

– ესე იგი, „პერეხვატსა" აქვს ადგილი?

– ნუ, ეგრე გამოდის!

– შენც ადექი და დაურეკე მაგ კუანა კუანინს... თუ გინდა, მე დავურეკავ და გავხევ ნაკერავზე!

– სხვათა შორის, ეგ მეც ვიფიქრე... მოკლედ, ამაღამ დათო ალმაშენებელს კუანინის ტელეფონის ნომერს გამოვართმევ და დაურეკე, შენ უფრო გეხერხება ნაკერავზე გახევა.

– ბაზარი არ არი, მაგაზე მაგრებიც გამიხევია!

– ოღონდ ფრთხილად იყავი, ხო იცი, დისტანციურად უნდა გახიო.

– ჰო, ვიცი... მანდ შემიძლია, ბალეტის ილეთები გამოვიყენო, შეაგდე, შეათამაშე, გაფშიკე და ჰაერშივე გახიე!

– ვერ შეგედავები, მაგ საქმის პროფესიონალი ხარ.

– კაი, აბა, როგორც კი გაიღვიძებ, გადმომირეკე, დანარჩენი მე ვიცი.

ჯუნიორი ერთ ხანს გაშტერებული იდგა, ფიქრებმა ლამის მთლად წარიტაცა მისი ცინცხალი გონება. რატომღაც ვასილ სოფრომაძე დაუდგა თვალწინ, ხელისუფლების მიერ წალეკილი ბიზნესმენი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის სამშობლოს გადასარჩენად. ერთი ხანობა, ახალმა აზრმაც კი გაჰკრა თავში, ხომ არ მოიწვიოს პარტიის საპატიო თავმჯდომარედ? კი ამბობენ, ძაან წუწურაქიაო, მაგრამ მაგისთანებისთვის დაუწერებია მაყუთი? მოკლედ, უნდა იფიქროს, ეხლა მამულია გადასარჩენი, ვისაც გული უძგერს და ტანში აჟრიალებს, ყველას დაელაპარაკება. ისე, ერთი კითხვის ნიშანი მაინც უტრიალებს თავში: სად არის ბიძინა ივანიშვილი? ჰმ... თითქოს პასუხიც უტივტივებს ტვინის უჯრედებში, მაგრამ მთლად დარწმუნებულიც არ არი. სად არი და... იმალება, სად უნდა იყოს? ალბათ ყოველ დილასაღამოს უტარებს დეზინფექციას თავის შუშის სასახლეს. გუშინ ზალიკო უდუმაშვილმა დაურეკა, ბიძინას ისევ გადააქვს ხეებიო, მაინც არ ჩერდებაო, რა დროს ეგ არიო? ძაან აღშფოთებული იყო უდუმაშვილი, ეხლა წავალ გვარამიასთან, ინტერვიუს მივცემ და თლა გავაბანძებ რუს ოლიგარქსო. თან ექსკლუზივი მაქვს, ჩანაწერი მოვიპოვე, თუ როგორ ელაპარაკება ბიძინა პუტინს, შენ რუსეთში ამოხოცე ხალხი, მე საქართველოში ამოვხოცავ, ეხლა ჩვენი დროაო. სხვათა შორის, ჯუნიორმაც გაიგო კულუარებიდან და გიგა ბოკერიამაც დაუდასტურა, თურმე ბიძინა ივანიშვილს 60 მილიონი დოლარი გადაუხდია ჩინელებისთვის, ჩვენთანაც შემოიტანეთ ეგ ვირუსი, არჩევნებისთვის მჭირდებაო, სხვანაირად ვერ ვიგებო, წინასწარი მონაცემებით ჯუნიორ ვაშაძე იმარჯვებსო. აი, ხედავთ, სად არის ჩამარხული ძაღლის თავი? მაინც არ გამოუვა ბიძინას ეგეთი მაიმუნობები, ჯუნიორი აუცილებლად მოიგებს და გადაარჩენს არა მხოლოდ მამულს, დედულსაც, დეიდულსაც, მამიდულსაც და... ეხლა უნდა დაიძინოს, რომ დავით აღმაშენებელს კუანინის ტელეფონის ნომერი გამოართვას.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ლეგენდარული პამელა - კურტიზანობიდან პოლიტიკოსობამდე

გაზეთებში მას უკანასკნელ კურტიზან ქალს უწოდებდნენ, მამაკაცები აღფრთოვანებულ მზერას არ აცილებდნენ, ქალებს შურდათ, ეშინოდათ მისი და ეზიზღებოდათ კიდეც. ლედი პამელა ჩერჩილ-ჰარიმანს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ მისი ცდუნების საიდუმლოებებს დაწვრილებით შეისწავლიდნენ რეპორტიორები და მიმომხილველები. მისი ქმრები იყვნენ უინსტონ ჩერჩილის შვილი რენდოლფი, ბროდველი პროდიუსერი ლელანდ ჰეივორდი და გავლენიანი პოლიტიკოსი ავერელ ჰარიმანი. პემის მიერ მოხიბლულ მამაკაცთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ძალიან ძნელია.

პამელა დიგბი 1920 წლის 20 მარტს დაიბადა ბარონ დიგბი ედვარდისა და მისი მეუღლის კონსტანტა პამელ ელისის, ებერ-



დერის მეორე ბარონის ქალიშვილის ოჯახში. პამელას დიდი ბებია XIX საუკუნის ცნობილი ავანტიურისტი და კურტიზანი ქალი ჯეინ დიგბი იყო, რომელმაც სკანდალური პირადი ცხოვრებითა და ფრიად ეგზოტიკური მოგზაურობებით გაითქვა სახელი.

მიიჩნეოდა, რომ ჯეინ დიგბიმ თავისი ოჯახი შეარცხვინა, ამიტომ მისი პორტრეტი უცხო თვალთაგან მოფარებული იყო და უკანა კიბეს „ალამაზებდა“. თუმცა პატარა პამელა ხშირად ათვალიერებდა ხოლმე თავისი ნათესავის პორტრეტს და მას ნამდვილ მზეთუნახავად და არაჩვეულებრივ ქალად მიიჩნევდა. თავად პამელა ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში მიხვდა, რომ ყველა იმ ქალის ცხოვრებაში, ვინც საკუთარ თავს პატივს სცემს, უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც „მას უძვირფასეს კაბას ჩააცმევს“.

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ გოგონა თავისი დიდი წინაპრის ცხოვრების გზას გაივლიდა და XX საუკუნის გავლენიანი კურტიზანი გახდებოდა. პამელა დიგბი მიუნხენის სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, მოგვიანებით პარიზში გაემგზავრა, სადაც სორბონას რამდენიმე კურსი გაიარა, მაგრამ ამ სასწავლო დაწესებულების დიპლომი არ აუღია.

დედასგან პამელამ დაიმახსოვრა, რომ ის ძალიან თავშეკავებული უნდა იყოს და არავის უნდა უჩვენოს ცრემლები. მოგვიანებით მისი რკინის თავშეკავებულობისა ბევრს შურდა. გოგონა 7 წლის იყო, როცა პონიდან გადმოვარდა და ცხვირი გაიტეხა, მაგრამ ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ბრიჯის თამაშის დროს მოწყობილი ხანმოკლე შესვენებისას ის ხვეული კიბიდან ჩამოვარდა. პამელა მაშინვე ადგა, ყველა დაამშვიდა და თამაში განაგრძო. სამი საათის შემდეგ, როდესაც კარგი თამაშისთვის მადლობა გადაუხადა თავის მოწინააღმდეგეს ავერელ ჰარიმანს, იგი უგონოდ დაეცა. ექიმებმა მას ხელის ორმაგი მოტეხილობა დაუდგინეს.

## პირველი ქორწინება

18 წლის ასაკში პამელა დიგბის დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. მომდევნო სეზონზე მან პარიზში მოდური კაბები და ლამაზი შლაპა შეიძინა, მაგრამ მისი მთავარი იარაღი გახსნილობა გახდა. ის იმდენად მშვიდი და საკუთარ თავში დარწმუნებული იყო, რომ მალე უკვე არც ერთი მამაკაცი აღარ აქცევდა ყურადღებას მის სიმსუქნესა და გუშინდელი პროვინციელი გოგონას ჭორფლით მოფენილ სახეს.



პამელა დიგბიმ 1939 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. რენდოლფ ჩერჩილთან ნაცნობობა ორივესთვის სარგებლიანი იყო. უინსტონ ჩერჩილის ვაჟს იდეალური რეპუტაცია არ ჰქონია: მრავალრიცხოვანი მოუწესრიგებელი სასიყვარულო კავშირები და სასმელის მიმართ სიყვარული ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი იყო.

პამელას უარი არ უთქვამს მმართველი კლასის წარმომადგენლის ცდუნებაზე და გაცნობის ღამესვე მისცა თანხმობა ქორწინებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ პამელამდე რენდოლფმა ორი კვირის განმავლობაში ხელი და გული რვა ქალს შესთავაზა, ყველა მათგანმა უარი სტკიცა მას.

პამელამ იცოდა, რომ ეს ქორწინება თავიდანვე განწირული იყო, მაგრამ სოციალურ კიბეზე მის ალმასვლას ძალიან წაადგებოდა. გათხოვებისთანავე ის უბრალო პროვინციელი გოგონადან მაღალი წრის წალბატონად იქცეოდა.

1945 წელს პამელა ჩერჩილმა განქორწინება მოითხოვა, მანამდე კი სასიყვარულო ურთიერთობა დაიწყო ავერელ ჰარიმანთან.

## ცდუნების საიდუმლოებები

პამელამ განქორწინების შემდეგაც კი კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა ყოფილ მეუღლესთან — რენდოლფ ჰარიმანთან, რომლის სახელიც დაარქვა თავის ვაჟს, რომელიც 1940 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა. მას ნებისმიერი მამაკაცის კეთილგანწყობის მოპოვება შეეძლო.

ოფიციალური ქორწინებების გარდა პამილა ჩერჩილს ბევრი რომანტიკული გატაცება ჰქონდა. მის შეყვარებულთა შორის ბევრი ცნობილი გვარი იყო — მას ნებისმიერი მამაკაცის ცდუნება შეეძლო.

ჯერ კიდევ პირველ ქორწინებაში ყოფნისას მან შეძლო არამარტო თავისი მესამე ქმრის, არამედ ედვარდ მაროუსა და ჯონ ჰეი უიტნის მოხიბვლა. განქორწინების შემდეგ თავი შეაყვარა პრინც ალი ხანს, ალფონსო დე პორტაგოს, ჯანი ანიელის და ბარონ ელი დე როტშილდს, მწერალ მორის დრუონს და ხომალდების მაგნატს სტავროს ნიარხოსს.

პამელა ჩერჩილი ძალიან ყურადღებიანი იყო თავისი მამაკაცების მიმართ, დიდ ყურადღებას უთმობდა მათ სურვილებსა და სურვილებს და ყველაფერს აკეთებდა, რომ მასთან ურთიერთობისას თავი კარგად ეგრძნოთ. ის აგვარებდა მათ საქმეებს, ხოლო რაც მის საძინებელში ხდებოდა, იმის შესახებ ლეგენდები დადიოდა.

როცა ლედი პემი თავისუფალი იყო, ყველა ქალი საფრთხის ქვეშ იყო, რომ ძვირფასი მამაკაცი არ დაეკარგა.

მოხიბვლის მისი მთავარი იარაღი ცეკვის დროს მისი ქცევა იყო — ის თავს ხრიდა და თავის მსხვერპლს ქვემოდან უყურებდა, მაცდურად იღიმებოდა და თითებით პარტნიორის მხარს ეხებოდა. ცეკვის ბოლოს მამაკაცი იარაღს ყრიდა და უკვე მთლიანად პამელას ხელში იყო.

## კურტიზანი ქალიდან პოლიტიკოსამდე

1959 წელს პამელა ჩერჩილმა პარიზში პროდიუსერი ლელანდ ჰეირვორდი გაიცნო, რომელმაც მის გამო ცოლი მიატოვა. პამელა ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად. ლელანდი ბედნიერი იყო. მათ ერთად 11 წელი იცხოვრეს, პროდიუსერის გარდაცვალებამდე, 1971 წლის 18 მარტამდე.



მისი დაკრძალვიდან მეორე დღესვე პამელა ჩერჩილმა იმ დროისთვის უკვე დაქვრივებულ ავერელ ჰარიმანთან განაახლა ნაცნობობა, რომელიც 79 წლის იყო. 1971 წლის 27 სექტემბერს ისინი დაქორწინდნენ.

ამერიკელი პოლიტიკოსი და სარკინიგზო ბარონის მემკვიდრე ზღაპრულად მდიდარი იყო და მეუღლისთვის არაფერს იშურებდა. ავერელ ჰარიმანის კავშირების წყალობით დაიწყო პამელა ჩერჩილ-ჰარიმანის პოლიტიკური კარიერა. მან თავი დაანება მამაკაცების ცდუნებას და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკის ერთგულ მეუღლედ იქცა, რომელიც სტუმრებს დახვეწილი საუბრით ართობდა.

1986 წელს ლედი პემი კვლავ დაქვრივდა, ხოლო მისთვის დატოვებულმა 600 მილიონმა დოლარმა საშუალება მისცა, პარტიული ელიტის წარმომადგენელი გამხდარიყო. მის სახლში ახალგაზრდა პოლიტიკოსები იყრიდნენ თავს, რომლებსაც დიასახლისი სასარგებლო რჩევებს აძლევდა. პამელა ჩერჩილ-ჰარიმანის წყალობით იქმნებოდა პოლიტიკური ალიანსები, მისი მეგობარი გახდა ბილ კლინტონი, რომლის წინსვლაშიც მას დიდი წვლილი მიუძღვოდა. არჩევნებში კლინტონის გამარჯვების შემდეგ პამელა ჩერჩილ-ჰარიმანმა საფრანგეთში განსაკუთრებული და სრულუფლებიანი ელჩის პოსტი მიიღო.

ის უკვე პოლიტიკაში იპყრობდა პოზიციებს. 1997 წლის 5 თებერვალს პამელა ჰარიმანი საავადმყოფოში გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით. გარდაცვალებიდან მეორე დღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა დროშით დაფარულ მის კუბოზე საპატიო ლეგიონის ორდენი დადო. პამელა ჩერჩილ-ჰარიმანის გასვენებაზე ვაშინგტონში ამერიკის მთელი პოლიტიკური ელიტა შეიკრიბა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

---



„საერთო გაზეთის“ დიდ მეგობარს, სანიმუშო პიროვნებას, ყველა საუკეთესო თვისებით დაჯილდოებულ ადამიანს, ქველმოქმედს, შესანიშნავ მეოჯახეს, ბატონ

**დავით ინჯიას**

ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ სიკეთეს, ბედნიერებას, წარმატებებს თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

**საერთო გაზეთი**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001